საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 13 მარტი, 2014 წელი.

№50 (7431)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოჭდეური სიფცვაა, ფცუილებით და ჭორებით ბურთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ვის მიჰყავდა და მიჰყავს „პარადი“ სამცხე-ჯავახეთში?

4

რაბათის უკანონო რეკონსტრუქციას სამი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა

„ნაციონალების ბედს ამ არჩევნებზე ჩვენი კოალიცია გადაწყვეტს“

3

ნაციონალები საქართველოში ახალ „მაიდანს“ გვიმზადებენ?!

5

ყირიმის გაჩუქება. წარმტაცება აფხაზეთზე

7

თუ ნახევარკუნძული შემადგენლობაში, თბილისს, შეიძლება, ნატოს პერსპექტივა გაეხსნას

8

თუ სტიქია კაცს საცხოვრისში არ აჩერებს...

6

გაიცანით დურმიშხან კიკნაძე!

9

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

ინვესტიციის თითოეული ცენტი დაცული იქნება

— ნება მომეცით, როგორც საქართველოს მთავრობის მეთაურმა, სიტყვა მოგცეთ, რომ თქვენს მიერ განხორციელებული ინვესტიციის თითოეული ცენტი იქნება დაცული და დაგიდასტუროთ ჩემი მზადყოფნა, ვიყო ქვეყანაში სამართლიანი, გამჭვირვალე და უსაფრთხო საინვესტიციო გარემოს გარანტორი, — მიმართა საქართველოს პრემიერმა ისრაელის ბიზნესსექტორის წარმომადგენლებს სასტუმრო „ჰოლიდეი ინში“, სადაც გუშინ საქართველო-ისრაელის ბიზნესფორუმი გაიმართა.

მისივე განმარტებით, საქართველოს მთავრობა ძალ-ღონეს არ იშურებს, რომ ქვეყანა ბიზნესის წარმოების თვალსაზრისით მსოფლიოში ერთ-ერთ სამაგალითოდ იქცეს.

— მას შემდეგ, რაც ჩვენი პოლიტიკური გუნდი ხელისუფლებაში მოვიდა, მთავარ ღირებულებად და პრიორიტეტად გამოცხადდა კანონის უზენაესობა და კერძო საკუთრების დაცვა. ჩვენი მთავრობა ძალ-ღონეს არ იშურებს, რომ იქცეს ბიზნესის წარმოებით მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ხელსაყრელ და სამაგალითო ქვეყნად. სხვადასხვა ავტორიტეტულ საერთაშორისო რეიტინგებში საქართველო ინარჩუნებს მყარ პოზიციებს, მაგალითად, მსოფლიო ბანკის ბიზნესის წარმოების სიმარტივის ინდექსის თანახმად, საქართველომ გააუმჯობესა მაჩვენებლები და მერვე ადგილზე გადაინაცვლა. გარდა ამისა, მსოფლიო ბანკის პროგნოზით, საქართველოს ეკონომიკური ზრდა წელს მიაღწევს 6,3 პროცენტს, ნაცვლად 5 პროცენტისა, როგორც თავიდან იყო ნავარაუდევი, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

პრემიერმა საქართველოს განსაკუთრებულ გეოგრაფიულ ადგილმდებარეობაზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ ქვეყანას, ინვესტორებისთვის 900-მილიონიანი ბაზრის შეთავაზების შესაძლებლობას აძლევს შეღავათების ზოგადი სისტემა 8 ქვეყანასთან, აშშ-ის ჩათვლით, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ზონა 2014 წლის სექტემბრიდან და თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობასა და თურქეთთან.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, საქართველო ინვესტირებით დაინტერესებულ პირებს ბიზნესშესაძლებლობების დიდ არჩევანს სთავაზობს, ქვეყნის ისეთ სწრაფად მზარდ სფეროებში, როგორიცაა ჰიდროენერგეტიკა, ტურიზმი, მრეწველობა, რეგიონული მომსახურება, ლოჯისტიკა და აგრობიზნესი.

პარლამენტის კომიტეტები მუშაობას თბილისში შეუდგებიან

ამის შესახებ დავით უსუფაშვილმა ბიზნესმენებთან შეხვედრისას განაცხადა და აღნიშნა, რომ კომიტეტების თბილისში ამოქმედების შემდეგ, მათ შესაძლებლობა ექნებათ, აქტიური მონაწილეობა მიიღონ ინიცირებული პროექტების განხილვის პროცესში.

— ჩვენ ძალიან მალე გვექნება შესაძლებლობა, მინიმუმ საკომიტეტო სხდომები გავმართოთ თბილისში. საკომიტეტო მოსმენაზე აქცენტს იმიტომ ვაკეთებ, რომ ეს განხილვების ის ფორმატია, სადაც პარლამენტის წევრების გარდა, ყველა დაინტერესებულ პირს აქვს საკითხზე პოზიციის გამოთქმის და დისკუსიაში მონაწილეობის შესაძლებლობა. პარლამენტის პლენარული სხდომა ჩაკეტილი სივრცეა. პლენარულ სხდომათა დარბაზში შესვლაც კი კანონით რეგულირებულია, არა თუ დებატებში მონაწილეობის მიღება. კომიტეტების სხდომაზე კი ყველას ექნება პოზიციის გამოთქმის საშუალება, — განუცხადა ჟურნალისტებს პარლამენტის თავმჯდომარემ.

მისივე თქმით, საპარლამენტო კომიტეტების პლუსია ის, რომ კომიტეტების ფორმატში საკითხებზე უფრო სიღრმისეული განხილვა მიმდინარეობს, ვიდრე პლენარულ სხდომაზე.

დავით ცეცხლაძე დიმიტრი შაშკინს ბიზნესის წართმევაში ადანაშაულებს

შპს „კავკასიის აკადემიური ცენტრის“ დამფუძნებელი დავით ცეცხლაძე განათლებისა და მეცნიერების ყოფილ მინისტრს დიმიტრი შაშკინს ბიზნესის წართმევაში ადანაშაულებს. ამის შესახებ მან გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

დავით ცეცხლაძის განცხადებით, დიმიტრი შაშკინმა კანონსაწინააღმდეგოდ გააუქმა „კავკასიის აკადემიურ ცენტრზე“ 5 წლის ვადით გაცემული გრიფირება და 2011 წლის 1 მარტს სასკოლო სახელმძღვანელოებზე „ფორმალური“ გრიფირება გამოაცხადა.

მისივე თქმით, გრიფირების გამოცხადებამდე დიმიტრი შაშკინი ბრიტანეთში ჩავიდა, სადაც მემორანდუმი ბრიტანულ კომპანია „მაკმილანთან“ გააფორმა.

— მაკმილანთან გარიგებისას შაშკინის მთავარი მოთხოვნა იყო, რომ მხოლოდ მისი ლობირების ქვეშ მყოფი კომპანია „ინგლისური წიგნი საქართველოში“ ყოფილიყო წიგნების ერთადერთი ექსპორტიორი, — აღნიშნა დავით ცეცხლაძემ.

როგორც დავით ცეცხლაძემ განაცხად, შაშკინის მიერ 2011 წლის 1 მარტს გამოცხადებული სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირების გამარჯვებული წინასწარ იყო ცნობილი. მისივე განცხადებით, გრიფირების მინიჭების სანაცვლოდ დიმიტრი შაშკინმა კომპანიის 33% და 50 000 აშშ დოლარი მოითხოვა, რაზეც უარის მიღების შემდეგ, კომპანიის წინააღმდეგ ზურაბ ადეიშვილთან და ვანო მერაბიშვილთან ერთად პროვოკაცია დაგეგმა.

— გრიფირების დასრულებამდე კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტმა გაყალბებული, შეთითხნილი ბრალდებით დამაკავა. „კავკასიის აკადემიური ცენტრის“ სრული განადგურების მიზნით კი შაშკინმა ბოროტად გამოიყენა უფლებამოსილება და პირადი მიზნებიდან გამომდინარე, უკანონოდ წაართვა „კავკასიის აკადემიურ ცენტრს“ უმაღლესი საგანმანათლებო დაწესებულების ავტორიზაცია და ასობით სტუდენტი სხვა უმაღლეს სასწავლებლებში გადაიყვანა, — განაცხადა დავით ცეცხლაძემ.

როგორც დავით ცეცხლაძემ აღნიშნა, მან 2012 წელს პროკურატურას მიმართა და ამ დროისათვის მას ინფორმაცია აქვს, რომ საქმეზე გამოძიება პრაქტიკულად დამთავრებულია.

ცეცხლაძემ მთავარ პროკურორს მიმართა, რომ გამოძიების შედეგები დროულად გახდეს ცნობილი.

როგორც დავით ცეცხლაძემ აღნიშნა, მას საფუძვლიანი ეჭვი აქვს, რომ „შაშკინის მფარველობის ქვეშ“ მყოფი კომპანია „ინგლისური წიგნი საქართველოში“ არის მონოპოლისტი და კომპანიას დღევანდელ ხელისუფლებაშიც ჰყავს მფარველი.

ცეცხლაძის თქმით, მისთვის ცნობილია კონკრეტული პირების სახელები, რომლებიც ამ კომპანიას ლობირებენ, თუმცა, ამ ეტაპზე მათი დასახელება არ სურს.

◎ კანონმდებლობა

მოიგებს თუ წააგებს საქმე ცვლილებებით?

გალაღებულ იმპორტიორებს თანდათან შეზღუდავენ

იმპორტიორებისთვის საგადასახადო შეღავათების გაუქმებას ხელისუფლებაში ერთსულოვნად უჭერენ მხარს, თავად იმპორტიორები კი, რა თქმა უნდა, ეწინააღმდეგებიან. როგორც ინიციატივის ავტორი გოგი თოფაძე ამბობს, საგადასახადო კოდექსში სხვა ბევრი ცვლილებაც შევა, რათა ქვეყანაში კონკურენტული გარემო შეიქმნას.

დეპუტატ გოგი თოფაძის განცხადებით, იმპორტიორები ძალიან დიდი შეღავათით სარგებლობდნენ.

„მაგალითად, საქართველოში ჩვენ ვაწარმოებთ სიგარეტს, რომელიც საკმაოდ იაფია. საკმაოდ მაღალი ხარისხის თამბაქო მოგვყავდა ლაგოდეხსა და მარნეულში. ახლა მათი აღდგენა იგეგმება, მაგრამ ნახეთ, რა ხდება — ქართველმა მწარმოებელმა რომ აწარმოოს სიგარეტი, ამისთვის იმპორტირებულ ნედლეულს თუ იყიდის, 8-9 თვით თავისუფლდება დღგ-ის გადასახადისგან, ხოლო ქართველმა რომ ადგილზე აწარმოოს თამბაქო, მან იმ თვეშივე დღგ უნდა გადაიხადოს, ანუ რა გამოდის? - სახელმწიფო უპროცენტო სესხს აძლევს იმპორტიორს, ადგილობრივ მეწარმეს კი არავითარ შეღავათს არ უკეთებს.

მოგიყვანთ სხვა მაგალითსაც: საქართველოში აწარმოებენ ალაოს. აქ რომ ვიყიდო, მე იმ წუთშივე უნდა გადავიხადო დღგ, ხოლო იმპორტირებულის შემთხვევაში 8-9 თვის შემდეგ შემიძლია გადახდა.

თუ ვსაუბრობთ ქართული წარმოების აღდგენასა და ქართული სოფლის აღორძინებაზე, ეს ცვლილება აუცილებელია: როცა მეწარმემ იცის, რომ იმპორტირებულ პროდუქციაზე 18%-ს არ ისდის, ბუნაბარ პირობებში. როგორც აღმოჩნდა, მეწარმეთა ნაწილი გარკვეული პერიოდის შემდეგ იხდის დამატებული ღირებულების გადასახადს, რაც მათ არათანაბარ პირობებში აყენებს მცირე და საშუალო საწარმოებთან შედარებით.

ამიტომ ფრაქცია „მრეწველებმა“ მოამზადეს პროექტი, ჩვენ გავეცანით და ვეთანხმებით. უკმაყოფილება არ უნდა გამოიწვიოს ამ პროექტმა, რადგან ყველა გადამხდელი უნდა იყოს თანაბარ პირობებში, რათა ჰქონდეთ შესაძლებლობა, ერთმანეთს კონკურენცია გაუწიონ და კონკურენტულ ბრძოლაში მოგებული დარჩება მხოლოდ და მხოლოდ მომხმარებელი“, — განაცხადა ნოდარ ხადურმა.

ამ დროს უმსხვილესი იმპორტიორები სხვა აზრზე დგანან. მათთვის დაწესებული შეღავათების გაუქმებით, ისინი საინვესტიციო გარემოს გაუარესების საფრთხეს ხედავენ.

ერთ-ერთი უმსხვილესი იმპორტიორის „ალიანს ჯგუფის“ ხელმძღვანელი ამბობს, რომ მსხვილი კომპანიები ყოველთვიურად ბიუჯეტში ასი ათასობით ლარს იხდიან. მამუკა ცაგარელი განმარტავს, რომ დღგ-სთან დაკავშირებული შეღავათი კომპანიებისთვის ძალიან მოსახერხებელია, რადგან აქვთ საშუალება, გადასახადი არა საზღვარზე განბაჟებისას, არამედ ოდნავ მოგვიანებით, დეკლარაციის წარდგენისას გადაიხადონ.

ცაგარელი ამბობს, რომ ამ საკითხს კონკურენციასთან კავშირი არ აქვს და, შესაძლოა, ამან უარყოფითად იმოქმედოს ინვესტორებზე, რადგან ასეთი შეღავათი

ნებრივია, იმპორტი ურჩევნია. მალე მთელი კასკადი იგეგმება კანონების“, — აცხადებს თოფაძე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი ეთანხმება მრეწველთა ინიციატივას, რომ გარკვეული კატეგორიის იმპორტიორები საგადასახადო შეღავათებით არ უნდა სარგებლობდნენ.

„ჩვენი მთავარი ამოცანაა, რომ ბაზარზე იყოს კონკურენტული გარემო და ყველა მეწარმე იყოს თანაბარ პირობებში. ინვესტორისთვის სტიმულია. შეღავათის გაუქმებით კი, მცირე და საშუალო ბიზნესისთვის არაფერი შეიცვლება.

კომპანია „ჯიდი ჰოლდინგშიც“ აცხადებენ, რომ ეს ცვლილება უარყოფითად შეიძლება შეფასდეს და ყველა ასეთი ცვლილება კოდექსში საინვესტიციო გარემოზე უარყოფითად მოქმედებს.

ბექა დანელია

რუსეთის კულტურის მოღვაწეები პუტინს უჭერენ მხარს

რუსეთის კულტურის მოღვაწეები უკრაინის, კერძოდ, ყირიმის საკითხთან დაკავშირებით პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის პოზიციას მხარდაჭერას უცხადებენ. ხელოვანების მხარდამჭერი განცხადება რუსეთის კულტურის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე გავრცელდა.

„როდესაც ყირიმის და ჩვენი თანამემამულეების ბედი წყდება, რუსეთის კულტურის მოღვაწეები ვერ იქნებიან მხოლოდ გულგრილი დამკვირვებლები. ჩვენი საერთო ისტორია, საერთო ფესვები, კულტურა, სულიერება, ფუნდამენტური ღირებულებები და ენა, სამუდამოდ გვაერთიანებს. ჩვენ გვინდა, რომ ჩვენს ხალხს და კულტურას ჰქონდეს მომავალი. სწორედ ამიტომ ვუცხადებთ მხარდაჭერას რუსეთის პრეზიდენტის პოზიციას უკრაინასთან, ყირიმთან დაკავშირებით, — ნათქვამია მიმართვაში.

ამ ეტაპზე მხარდამჭერ განცხადებას 86 ხელოვანი აწერეს ხელს. მათ შორის არიან: რუსეთის ხელოვნებათა აკადემიის პრეზიდენტი ზურაბ წერეთელი, რუსეთის სახალხო არტისტი, ბალერონი ნიკა ცისკარიძე, ცნობილი რუსი მსახიობი სერგეი ბეზრუკოვი და სხვები.

ზურაბ წერეთლის თანაშემწე კატეგორიულად უარყოფს ინფორმაციას, თითქოს ცნობილმა მოქანდაკემ, ყირიმში, რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის ქმედებების მხარდამჭერ პეტიციას მოაწერა ხელი.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სერგი შაგულაშვილმა განუცხადა, ზურაბ წერეთელი პოლიტიკაში არასდროს ჩარეულა და არც არანაირი პოლიტიკური დოკუმენტისთვის მოუწერია ხელი.

კითხვაზე, როგორ ახსნის იმას, რომ ზურაბ წერეთლის სახელი და გვარი მოხვდა პეტიციაში, რომელიც რუსეთის კულტურის სამინისტროს ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნდა, შაგულაშვილმა აღნიშნა, რომ ზურაბ წერეთელი კულტურის სამინისტრომ შეიყვანა სიაში, თუმცა, მას ამ დოკუმენტზე ხელი არ მოუწერია.

ყირიმში რუსეთის ქმედებების მხარდაჭერის გამო კი სერგეი ბეზრუკოვის თბილისში დაგეგმილი სპექტაკლი გაუქმებულია.

— საქართველოში არასოდეს არც ერთ მსახიობს არ ჩამოვიყვან, ვინც ანტიდემოკრატიულ გადაწყვეტილებას მიიღებს ჩვენი ქვეყნის წინაშე, ნებისმიერი ფორმით. ეს იგივეა, რომ მხარი დაუჭირონ აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის ოკუპაციას, — აცხადებს კულტურის პალატის პრეზიდენტი დავით ოქიტაშვილი.

ინტერპრესი

№50. ხუთშაბათი, 13 მარტი, 2014 წელი.

„ნაციონალების ბედს ამ არჩევნებზე ჩვენი კოალიცია გადაწყვეტს

ისინი საერთოდ უნდა გავაქროთ პოლიტიკური ასპარეზიდან“

ნომრის სტუმარია
პარტია „ქართული დასის“ ლიდერი
ჯონდი ბაღათურია.

— ბატონო ჯონდი, ცნობილია, რომ პარლამენტს გარეთ დარჩენილი ოპოზიცია, ნაციონალების მსგავსად უკმაყოფილოა ხელისუფლებასთან კონსულტაციის შედეგით. ახლა რა ეტაპზეა მოლაპარაკებები საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით და რას გეგმავთ?

— „ქართულმა ოცნებამ“ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ შეენარჩუნებინა ხათუნა გოგორიშვილის მიერ დაწერილი რეპრესიული საარჩევნო კოდექსი. თქვენც გახსოვთ, რომ ამ კოდექსს ასევე რეპრესიულს, არასამართლიანსა და უთანასწოროს უწოდებდა თავად დღევანდელი ხელისუფლება...

— ხელისუფლება არც ახლა უარყოფს, რომ კოდექსი შესაცვლელია, მაგრამ ამისთვის ითხოვს დროს. ამბობენ, რომ ცვლილებათა პაკეტის სისტემური დახვეწა დროში ვერ მოესწრება.

— რა თქმა უნდა, სიცრუეა. ესენიც ნაციონალების მსგავსად იქცევიან. ყველა არჩევნების წინ კრეფდა წინა ხელისუფლება ინტერპარტიულ ჯგუფს და შემდეგ იმიზეზებდა მოკლე პერიოდს, რომელიც არჩევნებამდე რჩებოდა — ამბობდა, მომავალი არჩევნებისთვის გადავდოთო. ასე მოხდა ახლაც! ამიტომ სხვა რომ არაფერი, ხელისუფლებამ უხერხულად მაინც უნდა იგრძნოს თავი, როცა ასეთ მტკნარ სიცრუეს ამბობს.

— მოდით ასე ვთქვათ, და რა არის მოუსწრებელი?

— არ ვიცი, რა არის მოუსწრებელი იმაში, რომ ხელისუფლებამ მიიღოს გადაწყვეტილება, ყველა საარჩევნო უბანზე 13 კომისიის წევრიდან 12 „ქართულ ოცნებას“ რომ ჰყავს და ერთი ნაციონალურ მოძრაობას, ერთი დამკვირვებელი „ქართულ დასსაც“ ჰყავდეს? ამას სჭირდება პროცედურულად ზუსტად 14 დღე. მისცენ ყველა პარტიას თითო დამკვირვებელი, რომელიც ხმების დათვლის პროცესს დააკვირდება. და ასევე მთავარია მეორე საკითხი — რა დრო უნდა იმას, რომ მიიღონ გადაწყვეტილება წინასაარჩევნო კამპანიის დროს უფასო სარეკლამო დროის ლიმიტი ჰქონდეს სხვა პარტიებსაც. „ქართულ ოცნებას“, ქრისტიან-დემოკრატებსა და ნაციონალებს ეს დრო ისედაც აქვთ.

რა არის ამაში სადავო?! ის, რომ საარჩევნო უბანზე პარტიას ერთი დამკვირვებელი მაინც ჰყავდეს და ხელისუფლებას თუ აქვს, სხვასაც მისცეს უფასო სარეკლამო დროის ლიმიტი, ამაში გაუგებარი რა უნდა იყოს?

— თქვენი აზრით, რატომ არ თმობს ხელისუფლება თავის პრივილეგიებს?

— იმიტომ, რომ კონკურენციის ეშინიათ და არც უნდათ. დღეს, მაგალითად, „ქართულ ოცნებას“ 40-ჯერ მეტი დაფინანსება აქვს, ვიდრე „ქართულ დასს“, იმის მიუხედავად, რომ ივანიშვილის შვიდი მილიარდი დგას მათ ზურგს უკან... წარმოგიდგენიათ.

— ეს კოალიცია „ქართული ოცნების“ დაფინანსებაა და არა პარტიის.

— კარგით, გავყოთ მაშინ 6 ნაწილად და დაფინანსება ექნებათ 8-ჯერ მეტი, ვიდრე ჩვენს პარტიას. თუმცა, ახლა არჩევნებში ხომ კოალიცია მონაწილეობს. ამ დაფინანსებას ემატება ბიუჯეტის სხვა ფულიც. თითო საარჩევნო უბანზე თორმეტი კომისიის წევრი და კიდევ ერთი დამკვირვებელი ორი თვის ხელფასს მიიღებს. საქართველოში სულ 3700 უბანია. ამას რომ გადაამრავლებთ, იქნება 48 ათასი კაცი, რომელიც ორჯერ მიიღებს ხელფასს საარჩევნო პერიოდის განმავლობაში. ამას დავამატოთ უფასო საეთერო დროის ლიმიტი. ესეც ხომ ფინანსურ რესურსებს უკავშირდება. მაგალითად, ჩვენს პარტიას ნამდვილად არა აქვს იმხელა ფული, რომელიც სარეკლამო დროის ყიდვას სჭირდება. „რუსთავი-2“-ზე ერთი წუთი 20 ათასი ლარი ღირს. ყოველდღე 5 წუთი რომ იყიდო, 100 ათასი უნდა გადაიხადო. თუ „იმედზე“, „პირველ არხზე“, „მაესტროზე“, და სხვა არხზეც გავა რეკლამა, თითქმის ამდენივე უნდა გადაიხადო. მითხარით, სად არის ამდენი ფული. ეს თანხა შეიძლება მხოლოდ ხაზინის ქურდს ჰქონდეს, თორემ სხვას ეს ფული არა აქვს. დღეში ნახევარი მილიონი მარტო რეკლამაში რომ გადაიხადო, ამის რესურსი ვის აქვს? ხედავთ, რამხელა უპირატესობა აქვს ხელისუფლებას?!

— რამდენად კმაყოფილი ხართ იმ დათმობით, რაც ხელისუფლებამ გააკეთა?

— რა, 50-პროცენტიანი ბარიერი რომ დაწესდა? სამაგიეროდ პარტიებს წაართვეს უფლება, მერობის ან გამგებლობის კანდიდატი ასევე იყოს სიის სათავეში. ამით დააბალანსეს ეს ამბავი. ანუ ის პოპულარული პირები, რომლებმაც 50-პროცენტიანი ბარიერის პირობებში კონკურენცია უნდა გაუწიონ მეტოქეს, უკვე ვეღარ იქნებიან გამგებლების კანდიდატები იმიტომ, რომ სიაში ვერ ხვდებიან. ჩვენ კიდევ სია უნდა გავქაჩოთ. პარტიების სტატუსი, კვალიფიკაცია, საარჩევნო კომისიაში წევრი ეყოლება თუ არა — ეს ყველაფერი სიის მიხედვით მიღებულ ხმებთან არის დაკავშირებული. მე თუ მყავს რაიონში პოპულარული კანდიდატი, ის სიის თავში უნდა ჩავაყენო იმისთვის, რომ პარტიამ მიიღოს ხმები. არადა, ამ კანონით, გამგებლობის კანდიდატების მიერ მიღებული ხმები თუ ის არ მოიგებს, ან თუნდაც წააგებს, ჰაერში გასროლილია, არაფერი არ არის. არსად არ იწერება... აი, ასეთი საქციელი ჩაიდინა ხელისუფლებამ.

— ყველაფრის მიუხედავად, დაიწყეთ მზადება არჩევნებისთვის, ფიქრობთ კოალიციის შექმნაზე, სავარაუდო კანდიდატებიც შერჩეული გყავთ და ა. შ. აქტიურ ფაზაში ხართ?

— ჯერჯერობით „ქართულმა დასმა“ და „თავისუფალმა საქართველომ“ გავაკეთეთ განცხადება გაერთიანების შესახებ. ასევე მოვუწოდეთ სხვა პარტიებსაც კოალიციის შექმნისკენ. დიალოგი გვაქვს ბურჯანაძე-დემოკრატებთან და საერთაშორისო ზურაბიშვილის პარტიასთან. კონსულტაციები გავიარე ერთ-ერთ პარტიასთან, რომელსაც ჯერ არც ის აქვს გადაწყვეტილი, მიიღებს თუ არა მონაწილეობას არჩევნებში, ამიტომ არ დავასახელებ. ჩემი აზრით, დასახელებული ოთხი პარტია სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ მიიღოს ნაციონალებისა და „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ განწყობილი ელექტორატის 80-90-პროცენტის მხარდაჭერა, რაც ჩემი აზრით, უკვე გამარჯვების ფორმულაა. ეს გარანტირებულად მოგვცემს იმის საშუალებას, რომ საერთოდ გავაქროთ პოლიტიკური ასპარეზიდან ნაციონალური მოძრაობა. რაც ასევე ერთ-ერთი ჩვენი ამოცანაა. მაღალი ალბათობით მოვუგებთ „ქართულ ოცნებას“ თბილისს, ზუგდიდს. დიდი შანსები გვაქვს ქუთაისსა და ბათუმში. ვმუშაობთ გურჯაანზე და გორზე... ვნახოთ, რა გამოვა.

— არ შეიძლება, რომ დაასახელოთ კანდიდატები?

— არ შეიძლება და იცით, რატომ? შესაძლოა, ეს შეიცვალოს კოალიციის შექმნის შემთხვევაში, სხვა პარტიებთან მოლაპარაკებების დროს. თუ კოალიციის სხვა პარტიას უფრო ძლიერი კანდიდატი ეყოლება, მას დავაყენებთ. ხოლო თუკი მივიჩნევთ, რომ თანაბარი შესაძლებლობები აქვთ, მაშინ პრაიმერს ჩავატარებთ. ანუ ჩვენ შევეცდებით, რომ ჩვენი კანდიდატები ერთმანეთს შევაჯიბროთ.

ამის გარდა, ძალიან მნიშვნელოვანია ერთი ფაქტორც. თქვენ იცით, რომ ხელისუფლებამ მიიღო ისეთი გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით საინიციატივო ჯგუფებს წაართვა უფლება, წამოეყენებინა სასურველი კანდიდატი. ამას ჩვენ ვეწინააღმდეგებოდით, მაგრამ არ გაითვალისწინა ხელისუფლებამ. შესაბამისად, ამის საპირწონედ ჩვენ გვინდა ხალხს დავუბრუნოთ ეს უფლება. ამიტომ თუკი რომელიმე ქალაქის გარკვეული ნაწილი წამოაყენებს არაპარტიულ პიროვნებას, ჩვენ დავაყენებთ არა ჩვენს მიერ არჩეულ პარტიულ კანდიდატს, არამედ ხალხის მიერ არჩეულ პირს. რა თქმა უნდა, ჩვენი პარტიული აქტივი პირდაპირ ჩართული იქნება წინასაარჩევნო კამპანიაში ამ კანდიდატის გამარჯვების მისაღწევად.

— როგორც ითქვა, კახა კუკავა მოიაზრება თბილისის მერად, არც ეს საკითხი არ არის საბოლოოდ გადაწყვეტილი?

— არა, არავინ არ მოიაზრება თბილისის მერად, სანამ კოალიცია არ შეიქმნება. თუკი კოალიცია არ შედგა, შემდეგ დავასახელებთ. ბუნებრივია, ჩვენ გვაქვს ნაფიქრი ჩვენს კანდიდატებზე, მაგრამ ამას შევათანხმებთ კოალიციის ყველა პარტიასთან.

— სხვა რომელ პარტიასთან გქონდათ კიდევ კონსულტაციები?

— კახა კუკავას ჰქონდა კონსულტაცია ლეიბორისტებთან, თუმცა, მათ თავიანთი სტრატეგია აქვთ — დამოუკიდებლად მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში, ამიტომ უარი თქვეს. „თავისუფალმა საქართველომ“ ეს მაინც სცადა, თუმცა, ჩემი აზრით, არ მგონია, რომ ჩვენ და ლეიბორისტებს თავსებადი ელექტორატი გვყავდეს. გაერთიანების შემთხვევაში შეიძლება ელექტორატი ჩვენც დავკარგოთ და მათაც. ჩემი აზრით, პარტიებს კოალიციის შემთხვევაში უნდა ჰქონდეთ თავსებადი იდეოლოგია და თავსებადი ამომრჩეველი. მაგალითად, ღმერთმა ნუ ქნას და „ქართული დასი“ და „რესპუბლიკური პარტია“ რომ გაერთიანდეს, ორივე დაკარგავს მხარდამჭერებს. რატომ? — იმიტომ, რომ ჩვენ ცნობიერებითი კონფლიქტი გვაქვს, ხოლო ჩვენი ელექტორატი ერთმანეთისადმი ანტაგონისტურად არის განწყობილი. მე მიმაჩნია, რომ ის იდეოლოგია, რაც რესპუბლიკელებს აქვთ, არც მეტი, არც ნაკლები, არის ღალატი. მათ კი ჰგონიათ, რომ ჩვენი იდეოლოგია არის ფაშისტური, რასაც არ ვეთანხმები.

— ჰქონდათ თუ არა მათ ზეგავლენა საარჩევნო კანონმდებლობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში?

— საარჩევნო კანონმდებლობაზე მათ ამხელა პასუხისმგებლობას ვერ ავკიდებდი. იმიტომ, რომ უშუალოდ მოლაპარაკების მაგიდასთან სხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებიც ისხდნენ.

— იყო ზაქარია ქუცნაშვილი.

— იყო, მაგრამ ბოლო შეხვედრებს არ დასწრებია. თუმცა, როცა კი იყო, ყოველთვის თავისი პოზიტიური პოზიცია გამოხატა, მაგრამ გავლენა ვერ მოახდინა.

— ზვიად ძიძიგურმა?

— ოო, მან აბსოლუტურად სხვა პოზიცია დაიკავა, ვიდრე ჰქონდა ადრე, ჩვენდა სამწუხაროდ.

— რატომ?

— მე კი ვიცი რატომ, მაგრამ უმჯობესია მას ჰკითხოთ... აი, იმას, რასაც ჩვენ ახლა ვითხოვთ, ითხოვდა ადრე კოალიციის ექვსი პარტია. რატომ? — მოდით, აგიხსნით. ხათუნა გოგორიშვილმა ისეთი კოდექსი დაუწერა სააკაშვილს, რომლითაც ძალაუფლებას უკანონოდ და უსამართლოდ ინარჩუნებდა, თანაც უშრომლად. ამ კოდექსით შეგიძლია, არ იყო პოპულარული, რეიტინგული, მაგრამ ძალაუფლება მაინც შეინარჩუნო უკანონოდ. ეს არ მოსწონდათ მაშინდელი ოპოზიციის ლიდერებს, მაგრამ, როცა მოვიდნენ ხელისუფლებაში, აღმოაჩინეს, რომ თვითონაც შეუძლიათ, იმავე გზებით შეინარჩუნონ ძალაუფლება. ამიტომაც, სწორედ ეს გზა აირჩიეს.

— რა ხდება პარტიების დაფინანსების კუთხით?

— სრული კატასტროფა. პარტიამ ბარიერი რომ გადალახოს, იმისთვის სჭირდება ფული. სპეკულაციურად ამბობენ, თუკი გადალახავ ბარიერს, ამას და ამას მოგცემთო. ახლა სუპერმინიმუმზე არ მოდიან დათმობაზე და მერე რას დაგვაფინანსებენ?!

— მოლაპარაკებები გრძელდება?

— დიახ, გრძელდება, რაღაც ზემოქმედების იძულებით ფორმებზე ვფიქრობთ, რათა გონს მოვიდეს ხელისუფლება, შექმნას თანაბარი და კონკურენტული საარჩევნო გარემო.

— თუკი არ დაგთანხმდათ, რამდენად რეალური შანსი გრჩებათ მოსაგებად?

— ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ჭკუა ვასწავლოთ „ქართულ ოცნებას“ და ნაციონალებსაც. ხელისუფლება არაპოპულარულია, ნარმანიას კანდიდატურა კი კიდევ უფრო ზრდის ჩვენი გამარჯვების შანსებს. ბევრ ადგილებში შეიძლება პირველივე ტური მოვიგოთ, ხოლო მეორე ტურის შემთხვევაში, აუცილებლად გავიმარჯვებთ. მოდით, ასე ვთქვათ, კოალიციის შექმნა ჩვენ გვაქცევს ერთ-ერთ წამყვან პოლიტიკურ ძალად. ჩვენს მიღმა არ მოიძებნება ძალა, რომელიც შეძლებს „ქართულ ოცნებას“ კონკურენცია გაუწიოს.

— ნაციონალური მოძრაობაც?

— ამ არჩევნებში გადაწყდება მისი ბედი. თუკი ჩვენ ვიქნებით კოალიცია, ის ვერ გავა ვერც მეორე და ვერც მესამე ადგილზე. კოალიციას ეს შეუძლია! ჩვენ ასეთი არჩევანი გვაქვს: ან გავერთიანდებით და ერთად გავუწევთ ძლიერ კონკურენციას „ქართულ ოცნებას“, ამავე დროს ნაციონალურ მოძრაობას საერთოდ გავაქრობთ პოლიტიკური ასპარეზიდან (რაც იმის წინაპირობა იქნება, რომ მათ გაასამართლებენ), ან ერთმანეთს უნდა ვეჭიდავოთ მესამე და მეოთხე ადგილებისთვის, რაც არაფრის მომტანი არ იქნება ჩვენთვის, მით უმეტეს, არც ჩვენი ამომრჩევლისთვის.

ბევრი გვაქვს ნაფიქრი არა მარტო ამ არჩევნებისთვის, არამედ ჩვენი აზრით, კოალიციურ რეჟიმში დავრჩებით მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვისაც. არ დაგიმალავთ, რომ მოთელვა გაკეთებული გვაქვს იმისა, თუ ვინ უნდა იყოს სიის პირველი ნომერი და პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი. გადაწყვეტილება მე და კახას მიღებული გვაქვს. ჯერი მათზეა.

— ისინი არ ჩქარობენ...

— რატომაც არა, თვის ბოლომდე უკვე განცხადება უნდა გავაკეთოთ კოალიციისა და ერთიანი კანდიდატების შესახებ. ჩემი მხრივ, მე იმას დავსძენ, რომ კოალიციას არ შევაფერხებთ კვოტების და კანდიდატების გამო. თანახმა ვარ, რომ ეს დიალოგი შედგეს პირდაპირ ეთერში, საზოგადოების თანდასწრებით. დაუშვებელია ამ ეტაპზე რაღაც ვიწრო პარტიულ ნაჭუჭში გამოკეტვა.

ესაუბრა
თეა მოსია

ვის მიჰყავდა და მიჰყავს „პარადი“ სამცხე-ჯავახეთში?

რაბათის უკანონო რეკონსტრუქციას სამი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა

„მთელი საძარცველო ზუგდიდსა და ახალციხის დანაშაულზე საუბრობს ისე, რომ წარმოდგენა არ აძვთ, რა ხდებოდა სამცხე-ჯავახეთში. უბრალოდ, ახალციხელები ხმაურიანი ხალხი არ ვართ“, — აცხადებს For.ge-სთან საუბარში საზოგადოება „მშობლიური მესხეთის“ დარბაზის თავმჯდომარე თამარ სამსონიძე და ფიქრობს, რომ, როცა მერაბიშვილის დანაშაულზე საუბრობენ, ავიწყდებათ, რომ სწორედ რაბათის უკანონო რეკონსტრუქციას შეეწირა სამი ადამიანის სიცოცხლე, სწორედ მერაბიშვილის ოჯახი განაგებდა ახალციხეში ბიზნესებს, სწორედ მისი სახელით დევნიდნენ რიგით ახალციხელებს პოლიტიკური თუ ბიზნესინტერესების გამო.

— მერაბიშვილს ახალციხეში „ივანე მესაკუთრე“ უწოდეს, თუმცა, სანამ მის ბიზნესინტერესებზე ვისაუბრებთ, რას გვეტყვით იმ ფაქტის შესახებ, რომ რაბათის ციხის რეაბილიტაციას სამი ადამიანი შეეწირა? ერთ-ერთი მათგანის — მამუკა ბლუაშვილის შემთხვევა, ასე თუ ისე, გახმიანდა, რომ ის ციტადელიდან გადმოვარდა და ადგილზევე დაიღუპა. დანარჩენი ფაქტები თუ გასაჯაროვდა?

— ამ ყველაფერმა „ლაითად“ ჩაიარა. ეს მოხდა მშენებლობის პროცესში. მარტო მშენებლობების პერიოდში, ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების დარღვევის გამო, 3 ადამიანი დაიღუპა. ერთ-ერთი მათგანი, სასტუმროს მშენებლობისას დაიღუპა. რაბათი 2012 წლის 17 აგვისტოს გაიხსნა, თუმცა, მხოლოდ ერთი დღით ადრე დაიწერა მისი რეაბილიტაციის ბრძანება, ანუ მთელი ეს მშენებლობის პროცესი უკანონოდ მიმდინარეობდა.

— ცნობილია, რომ ამ ტერიტორიაზე არავითარი არქეოლოგიური კვლევა არ ჩატარებულა, რის შესახებაც ჩვენ თავის დროზე ვწერდით. რას იტყვით, რომ იქ 20 000 კუბური მეტრი მიწა მოთხარეს და მტკვარში გადაყარეს?

— ეს მოხდა ყოველგვარი გამოკვლევის გარეშე. არადა, ამდენი საუკუნის, ამდენი ბრძოლის გადამტანი იყო ეს ძეგლი. ბოლოს და ბოლოს, ჩვენი წინაპრების საძვალე იყო, უამრავი ადამიანი იყო იქ დაღუპული. არანაირი გამოკვლევა არ ჩაუტარებიათ და 20 ათასი კუბური მეტრი მიწა მოხსნეს, გადაყარეს და თავიდან მოიშორეს.

— თქვენ აცხადებთ, რომ ახალციხე კაზინოების ქალაქად უნდა გადაექცეოთ. სწორედ ამით იყო განპირობებული, რომ იქ საუნები, აბანოები ააშენეს?

— მაშინვე გაკვირვებულნი ვიყავით, სად ახალციხე და სად კაზინოების ქალაქი?! როგორც შემდეგ გავარკვიეთ, თურმე სერიოზულად შეიზღუდა კაზინოები სომხეთში, აზერბაიჯანსა და სირიაში. ამიტომაც ახლო აღმოსავლეთში ეს საქმე სარფიანი გახდა. სწორედ ამის გამო დაიწყო ახალციხეში უამრავი სასტუმროს, საუნის მშენებლობა. რომელ სასტუმროს დავადებთ ხელს, რომ მერაბიშვილის წილი არ იყოს?! თუნდაც იმავე „ვისოლის“ მიერ ახალციხეში აშენებულია სამვარსკვლავიანი სასტუმრო და სამხარეო ადმინისტრაციის შენობა. ეს უკვე აღარ იმალებოდა, თვითონ მერაბიშვილების ოჯახი ისეთია, რომ არ იტრაბახონ, არ შეუძლიათ. სწორედ მათგან გავიგეთ, რომ აქ არაბი ინვესტორები შემოვიდოდნენ.

არაბი ინვესტორები მერაბიშვილისთვის უცხო არ არიან. მაგალითად, სამონასტრო კომპლექს ვარძიაში რომ გადავინაცვლოთ, მის წინ მთელი ტერიტორია ტურისტული კომპლექსი იყო. ჯერ კიდევ 2004-2005-ში დამირეკეს და მითხრეს, ეს კოპლექსი გაიყიდა, სამ დღეში ჩამოფრინდა მერაბიშვილი არაბთან ერთად და მერე გადაყიდა არაბზეო. ანუ, იყიდა და სამ დღეში გადაყიდა. მაშინაც ვწერდი ამის შესახებ და უკვირდათ, რადგან ჯერ კიდევ არ იყო არაბ ინვესტორთა მოძალება. ამ დროს კი ვიღაც არაბმა შეიხმა უყიდა ეს ტერიტორია თავის ქალიშვილს. დიდი ხანია, მუსლიმანური სამყარო დაინტერესებულია ამ ადგილებით. ვარძიის ძეგლის ასასვლელს რომ გავცდებით, 200-იოდე მეტრში, ასი ათასი მუსლიმანი ჩაიხოცაო, — ამბობენ და მანდ ბარელიეფის დადგმა უნდოდათ. კომუნისტების დროიდან იღვწოდნენ ამისთვის, რასაც ვერ ახორციელებდნენ, ახლა კი შეისყიდეს ეს ადგილი. რაც შეეხება რაბათის ციხეს, აქ არის საუნები, სასტუმროები, სავაჭრო ცენტრები, ოქროს სავაჭროები. მუშაობს თუ არა ეს დაწესებულებები, ეს მეორე საკითხია, მაგრამ რაბათს ძეგლის დატვირთვა აღარ აქვს. სწორედ ამ მე-8, მე-9 საუკუნის ძეგლის აშენების შემდეგ ეწოდა ახალციხეს ახალციხე. მანამდე ლომსია ერქვა, ეს ძეგლი ჩვენი სიამაყე იყო. მათ ძეგლომანია სჭირდათ, ყველაფერს თხრიდნენ და რას ეძებდნენ, ეს კიდევ სხვა საკითხია. დაამახინჯეს ეს ძეგლი და რეაბილიტაცია გაუკეთეს მაინცდამაინც მოგვიანებითი პერიოდის, მე-16-17 საუკუნეების რაბათის მიხედვით, როცა სამცხე-ჯავახეთს უკვე თურქეთი განაგებდა და ფაშა იჯდა იქ. თუმცა, ბოლომდე ის სახეც არ მისცეს, გადაათურქულეს, ანუ თურქეთში დაამზადეს ორნამენტები, ჩამოიტანეს და თურქებს მიამაგრებინეს. ეს ძეგლი აღარ არის, ეს არის ბეტონის გროვა. ვინმემ რომ გაბედოს, რომში, საბერძნეთში, აკროპოლისში, კოლიზიუმში ერთი აგური მიამატოს, იქ რა მოხდება?

1900 წელს ამ „მეჩეთზე“ ჯვარი იდგა და ოთხივე მხარეს წმინდა გიორგის ეკლესიები იყო. გვატყუებენ, თითქოს, თურქეთმა პრეტენზია წამოგვიყენა, ის თურქულად გადაკეთდეს და მის სანაცვლოდ ტაო-კლარჯეთის მიწაზე რაღაცას დაგვითმობენო. რატომ ათურქულებენ რაბათს, ეს ხომ ჩვენი მიწაა და ტაო-კლარჯეთიც ჩვენი მიწა იყო? არ შეიძლებოდა, რაბათის ციხის შესახებ ინფორმაცია მე-9 საუკუნის იერით მოძებნილიყო? არის უამრავი ფოტო, ისტორიკოსთა და მოგზაურთა ჩანაწერები. ამის აღდგენა პრობლემა არ იყო.

— მერაბიშვილის სახელზე გაუფორმებელი არაერთი ქონების შესახებ რას იტყვით, რაც მისი „გაღლეტილობის“ მითს გააბათილებს?

— ახალციხეში ყველაფერი მერაბიშვილის დავალებით ხდებოდა. პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გამოაცხადა, მერაბიშვილის ქონების წლიური ბრუნვა 300 მილიონი ლარიაო. საიდან? ბიზნესმენი იყო? საიდან ფლობდა ამდენ თანხას? სამცხე-ჯავახეთში თუ რამე შენდებოდა, ყველაფერში ჩარეული იყო და მთლიანად პატრონი თუ არა, მეწილე მაინც იყო. ეს ადგილობრივი მოსახლეობისთვის კარგად არის ცნობილი. ყველა მშენებლობაზე რატომ ტრიალებდა არა მარტო მისი გარემოცვა, არამედ რა უნდოდა იქ მამამისს? ეს ჩამონათვალი დაუსრულებლად გრძელდება, დავიწყოთ სასაკლაოთი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ვინმე ნუგზარ სარჯველაძე, ყოფილი გამგებელი, რომელიც წარმოშობით იქიდანაა და სხვაგვარად ეძახიან ვანო მერაბიშვილის მოლარესაც. თუ ეს სასაკლაო იყო ნუგზარ სარჯველაძის, რა მიზნით ემსახურებოდა მას გამგეობის ავტომობილი, როცა ვანო მერაბიშვილი პრემიერ-მინისტრი იყო? ასევე, ახალციხეში ხშირად ჩნდებოდა „ვისოლის“ წარმომადგენლობა. მათ სასტუმრო და ბევრი რამ ააშენეს ახალციხეში, სადაც ისევ მერაბიშვილის გარემოცვა ტრიალებდა. მერაბიშვილებმა ახალციხის ბაზარიც ხელში ჩაიგდეს, რის შემდეგაც ფასებმა იმატა. ამ ბაზრის მშენებლობას ვანო ხელმძღვანელობდა, მამამისიც იქ ტრიალებდა. ახალციხეში ყველამ იცის, რომ ბაზარი მერაბიშვილს ეკუთვნის. მერაბიშვილის სახელზე არაფერი არ არის გაფორმებული და მთელი ეს ბიზნესპარტნიორები, ვინც ჰყავს და ვინც ძალიან ბევრია ახალციხეში, მისი ოჯახის წევრები, სიდედრის ნათესავები და სხვები, საკმაოდ სოლიდიური ქონების მქონენი არიან. ვინც მშენებლობაზე მუშაობდა (ინჟინრები და სხვები), ყველა ანგარიშვალდებულნი იყვნენ მამამისთან, დაწყებული საეჭვოდ გამდიდრებული ოლქის პროკურორიდან, რომელიც ახლა ნაციონალების მაჟორიტარია.

— ვიცი, რომ საქმე შეტანილი გაქვთ სამცხე-ჯავახეთის პროკურატურაში. რატომ ჭიანურდება გამოძიება?

— ირაკლი ღარიბაშვილმა როცა განაცხადა მერაბიშვილის თანხების წლიური ბრუნვის შესახებ, ვიფიქრე, რომ ამ საქმის გამოძიებას სერიოზულად მოჰკიდეს ხელი. საზოგადოებისთვის ისიც ცნობილია, რომ დედამისზეც იყო საქმე აღძრული და ბიძამისზეც, თუმცა, შედეგი ცნობილია თქვენთვის? სასამართლოს არქივში მოსამართლე ჩიტაშვილისა და მოსამართლე მაისურაძის განხილული ნებისმიერი საქმე რომ მოიკითხოთ, პოლიტიკური ნიშნითაა შეკერილი. პირადად ჩემს ოჯახზე ააწყო თავისი კარიერა ჩიტაშვილმა (ახალციხელმა როლანდ ახალაიამ), რადგან დავალება ჰქონდა მერაბიშვილისგან, რომ შეევეიწროებინეთ, შევიტანეთ სარჩელი, გამოძალვაში ვამხელთ, მოკვლევა დაიწყო, დაკითხულია ყველა მოწმე და საქმე აქ შეჩერდა. ერთადერთი ადამიანი, ვინც პასუხი გამცა და ჩაერია ამ საქმეში, იყო ეკა ბესელია. არადა, 2-დან 25 წლამდე ჰქონია პროკურატურას ძიების ვადა.

— იმის მიუხედავად, რომ მერაბიშვილი ციხეშია, მაინც აქვთ გარკვეული გავლენები ახალციხეში შენარჩუნებული მის ბიძასა და ახლობლებს?

— მარტო ახალციხეში? პირობითად, ვთქვათ, პურს რომ ვყიდულობთ, საწვავს რომ ვასხამთ, ისევ მერაბიშვილის ყულაბაში იყრება თანხა. 26 მაისის და სხვა საქმეებს შეიძლებოდა დამატებოდა რაბათის ციხის განადგურება და იქ ადამიანების დაღუპვის ფაქტები. ასევე, გენო ფარულავას ციხეში გარდაცვალების ფაქტი. ის უშუალოდ მერაბიშვილის მითითებით გარდაიცვალა. იცით, ვანო მერაბიშვილი რატომ სდევნიდა სამცხე-ჯავახეთში, განსაკუთრებით, ადიგენში ადამიანებს? 2003 წლის არჩევნებში, სანამ „ვარდების რევოლუცია“ მოხდებოდა, მერაბიშვილმა ადიგენში კენჭისყრა გადაწყვიტა. მთელ რაიონში დაახლოებით 800 ამომრჩეველი მისი გვარის მქონეა, ანუ მერაბიშვილია. ამ დროს არ გაინტერესებთ, რა იყო ვანო მერაბიშვილის რეიტინიგი? იგი სამარცხვინოდ დამარცხდა. ასე რომ, არჩევნების დასრულებას არც დაელოდა, შუადღისას წავიდა. როგორც კი მივიდა შინაგან საქმეთა სამინისტროში, შეადგინა დასაჭერთა სიები და ამ სიაში მოხვდა გენო ფარულავაც. სისხლი გაუშრო ამ კაცს. ეს ადამიანი საკნების მიტინგზე სულ იქ იყო, მას შვილი დაუჭირეს, ამიტომაც ჩაბარდა და უკან გვამი გამოიტანეს. ცოლს დაურეკეს, შენი მეუღლე საავადმყოფოშია, გამართლებულია და წაიყვანეო. ამას ემატება მისი „ფარჩაკი“ მშობლები. სამწუხაროდ, ახალციხელების პრობლემა იყო, რომ მათ რამედ აგდებდნენ და ემორჩილებოდნენ. ვინც არ დავემორჩილეთ, კი დავიქციეთ ცხოვრება, თუმცა ყველას არ შეუძლია ამ რისკზე წასვლა. ახლა საინტერესოა, სად არის ამირან მესხელი, მოდულის მამამთავარი, სად გაუშვეს? გგონიათ, ესენი ვიდეოკადრებს რომ ანადგურებენ, რაიმე დაიმალება? ამირან მესხელს ყველაფერი ექნება და ნებისმიერ დროს დადებს ამ კასეტებს.

მანანა ნოზაძე

◎ წკეპლიკა

პრეზიდენტო, დაფიქრდი!

რუსეთის პრეზიდენტო, როდის იცავდით თქვენი მოქალაქეების უსაფრთხოებას, მათ უფლებას სიცოცხლეზე, მაშინ, როდესაც საკუთარი ამბიციების შელახვად ჩათვალეთ მეზობელი სახელმწიფოების შემოთავაზება, გადაგერჩინათ „კურსკი“ და თქვენ უარი განუცხადეთ დახმარებაზე და ამერიკელი ჟურნალისტის შეკითხვას, თუ რა დაემართა „კურსკს“, ღიმილით უპასუხეთ: ჩაიძირაო.

პრეზიდენტო, რამდენი თქვენი მოქალაქე შეწირეთ ნორდოსტში, ბესლანში? ახლა ასე აპირებთ თქვენი მოქალაქეების დაცვას? საერთაშორისო კანონმდებლობის უხეში დარღვევით აპირებთ ყირიმის შემოერთებას, სუვერენული სახელმწიფოს — უკრაინის ანექსიას და, საერთოდ, საბჭოთა კავშირის აღდგენას; თუმც გასაკვირი არაფერია: რუსეთის პოლიტიკა მისი ისტორიის მანძილზე იყო და არის პოლიტიკა ბატონობისა. გვახსოვს რუსეთის რეაქციული პოლიტიკა უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ბალტიისპირეთში, პოლონეთში, ჩეჩნეთში, საქართველოსა და აზერბაიჯანში. ნუთუ გეამაყებათ, რომ რუსეთს უწოდებენ ბოროტების იმპერიას?

დაფიქრდი!

ლონდა მდივანი

◎ ხუმრობით – სერიოზულზე

ოჰ, ეს ორმაგი სტანდარტები!

უკრაინაში დატრიალებულმა ქარცეცხლიანმა მოვლენებმა მსოფლიო აალაპარაკა. ოცდამეერთე საუკუნის დედამიწას საგბედო და სალაპარაკო არც როდისმე შემოლევია, მაგრამ უკრაინულმა „რეკორდმა“ ამ მხრივ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ამაში კიდევ ერთხელ დამარწმუნა ცნობილ ექსპერტსა და პოლიტოლოგ სოსო ციცვაძესთან საუბარმა, რომელსაც გუშინ შევუთანხმდი და ჩვენი რედაქციის არცთუ ევროპულად გაწყობილ ოფისში შევხვდი.

— ბატონო სოსო, იმან, რაც უკრაინაში მოხდა (და ღმერთმა უწყის კიდევ რა მოხდება), ჩვენი საუკუნის ისედაც უამური ყოფა იმდენი უსამართლობითა და ტკივილით დაამძიმა, რომ არა თუ რიგითი დედამიწელები, მსოფლიოში ცნობილი ექსპერტები და პოლიტოლოგებიც კი დააბნია. თქვენი კომენტარი ამასთან დაკავშირებით?

— რას ვიზამთ, არსთა გამრიგეს ასეთი შეუქმნია ქვეყნიერება და არა მგონია, მას თანამედროვე რევოლუციებითა და ფერად-ფერადი რეფორმებით, მოვლენებისადმი „დასავლური“ თუ „აღმოსავლური“ მიდგომებით, მიმართულება არსებითად შევაცვლევინოთ. კადაფები და სადათები, იანუკოვიჩები და სააკაშვილები თავიანთი „კვაზიშემოქმედებით“ მხოლოდ აჩქარებენ ან ანელებენ მსოფლიოში კანონზომიერად მიმდინარე პროცესების განვითარებას.

— ამით რისი თქმა გსურთ, ბატონო სოსო, იმისი ხომ არა, რომ ყველა ისინი ისტორიის შემოქმედნი კი არა, საკუთარ ქვეყანაში უცხო ძალების მიერ დაქირავებული მარიონეტები და ტაკიმასხარები არიან? თუმცა ამ მსგავსებას ისინი რატომღაც ვერ ამჩნევენ და ერთთავად ერთმანეთის ვითომ ლანძღვა-გინებაში არიან. ამასთან დაკავშირებით თქვენ რა აზრის ბრძანდებით, ვითომ სააკაშვილი უფრო ნაკლები ყაჩაღი და არამზადაა, ვიდრე იანუკოვიჩი?

— არა, რა თქმა უნდა, — ეჭვები გამიფანტა ექსპერტმა, — სწორედ მაგათზეა ნათქვამი, რაც ალხანა, ის ჩალხანაო. ტახტიდან ჩამოგდებული იანუკოვიჩი იგივე მიშა გახლავთ, ოღონდ არა ქართველი, არამედ უკრაინელი მიშა. უკვე მთელმა მსოფლიომ იცის, რომ კორუმპირებულ სააკაშვილს არაფრით ჩამოუვარდება კორუმპირებული იანუკოვიჩი, ასევე კორუმპირებული მთავრობით, რომელმაც ისე გაამწარა ხალხი, რომ შემდეგ ის ბრმა იარაღად გამოიყენა კლიჩკომ სულ სხვა მიზნებისათვის.

— როგორც ვიცი, იანუკოვიჩს სხვა ბევრ რამეშიც ადანაშაულებენ.

— მართალს ბრძანებთ, იანუკოვიჩი, გარდა იმისა, რომ კორუმპირებული იყო, მან მეორე მძიმე დანაშაულიც ჩაიდინა — საკუთარი სკამისა და ნაარმალი სიმდიდრის შენარჩუნების მიზნით, მაშინვე არ დაამყარა წესრიგი ქვეყანაში, როცა არეულობა იწყებოდა. არადა, ამის გაკეთება უმტკივნეულოდ და უმსხვერპლოდ ნამდვილად შეიძლებოდა.

— თქვენი აზრით, მაინც რას უცდიდა?

— ალბათ გარანტიებს რუსეთისგან და როცა მიიღებდა, მხოლოდ მაშინ გაანძრევდა ხელს. მან შეგნებულად მიუშვა პროცესები ესკალაციამდე, რაც არავითარ შემთხვევაში არ ეპატიება თავისი ქვეყნის პატრიოტ და ეროვნულ ხელისუფლებას. ის მოვალე იყო, ყოველი ღონით აეცილებინა პროვოკაცია საკუთარი ქვეყნისათვის, ყოველ შემთხვევაში გადაევადებინა მაინც და დრო მოეგო. იანუკოვიჩმა ეს არ გააკეთა და ამისთვის მასაც და კლიჩკოსაც, დადგება დრო და პასუხს მოსთხოვენ.

— პასუხი, ჩემო ბატონო, სააკაშვილსაც უნდა ეგო იმ დანაშაულობებისა და დამაქცევარი პოლიტიკისთვის, რასაც თავისი ერთპიროვნული, დიქტატორული მმართველობის წლებში ეწეოდა საკუთარი ქვეყნისა და ხალხის წინააღმდეგ, მაგრამ ხომ ხედავთ, ყოველივე ამისგან რა „მშრალად“ გამოძვრა? ის ახლა იმის მაგივრად, რომ პროკურატურის კითხვებზე იძლეოდეს განმარტებებს, დემოკრატიის საფლეისო პრობლემებზე ლექციებს უკითხავს ამერიკელ სტუდენტებს და ამასთან ერთად თავს იმის უფლებას აძლევს, რომ ოკეანისგაღმეთიდან „შატალოზე“ გამოქცეულმა ლექტორმა უკრაინული მაიდნის ლიდერებს ჭკუა დაარიგოს და საკუთარი „გამოცდილება“ გაუზიაროს. ხომ არ აგვიხსნიდით, ყოველივე ამას დასავლეთი გაუცხოებული გულსიმშვიდით რატომ შესცქერის?

— ამას რა დიდი ახსნა უნდა, გაუცხოების მიზეზიც სულ უბრალო რამაა: სააკაშვილი იყო და რჩება ამერიკის კაცად, იანუკოვიჩი კი — რუსეთისა და პუტინის კაცად. შესაბამისად, დასავლეთის პოზიციებიც ამ პერსონების მიხედვით იკვეთება და იცვლება.

— გახსოვთ ალბათ, სააკაშვილის მმართველობის პერიოდში მოწყობილი მიტინგების მთავარი ლოზუნგი იყო — კონსტიტუცია არ დარღვეულიყო და ძალადობა გამორიცხულიყო. მართლაც, ერთი ფოთოლიც კი არ ჩამოვარდნილა, ერთი ვიტრინაც არ გატეხილა ქვეყანაში და მიუხედავად ამისა, დასკვნები რა აღარ დაგვიწერეს. თურმე ჩვენი მომიტინგეები იყვნენ შეიარაღებულნი ფარებით და დროშის ტარებით, ტაბურეტებითა და „მოლოტოვის კოქტეილებით“... ეს მაშინ, როცა უკრაინაში ისინი ვერ ამჩნევდნენ მართლაც ანტიკონსტიტუციურ ქმედებებს: ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას, სახელმწიფო შენობებში შეჭრას. გადაიწვა ქალაქის ულამაზესი ცენტრი, ხანძარში იწვოდნენ ადამიანები. ამ ყველაფერს ვუყურებდით ჩვენ და ამაზე არ ხდებოდა სწორი და ადეკვატური რეგირება. რატომ?

— იმიტომ, რომ მაიდნის ხალხის მოთხოვნა იყო ევროპული ინტეგრაცია, რაც დასავლეთის ინტერესებშია. ამ შემთხვევაშიც, როგორც ყოველთვის, თავი იჩინა დასავლურ დემოკრატიის ორმაგმა სტანდარტმა. მე იმას არ ვამბობ, რომ უკრაინელ ხალხს არ უნდა ჰქონდეს სწრაფვა დასავლეთისკენ (ეს მათი ლეგიტიმური უფლებაა), მაგრამ თვითონ დასავლეთის ეს ორმაგი სტანდარტი, თუ ევროპისკენ სწრაფვაა, მაშინ უნდა დახუჭო თვალი კონსტიტუციურ დარღვევებსა და სისხლის სამართლის დანაშაულობებზე და თუ არ არის ასეთი მოთხოვნა, თუ ხალხი იცავს თავის უფლებებს და ხელისუფლებისგან მოითხოვს, რომ არ იყოს წამება, შეწყდეს ადამიანების ქუჩებში ჩახოცვა და ამას არა აქვს მხარდაჭერა, რა თქმა უნდა, ეს ყოვლად გაუმართლებელია.

— მეც მანდა ვარ, ბატონო სოსო! თუ არა ის ყბადაღებული ორმაგი სტანდარტი, დასავლეთს რატომ უნდა დაეჭირა მხარი საქართველოს ხელისუფლებისთვის, მხოლოდ იმიტომ, რომ ის პროდასავლურად ითვლებოდა? თუმცა, ძალიან მაინტერესებს, პროდასავლური რა გააკეთა სააკაშვილის ხელისუფლებამ საქართველოში, ქვეყნის ტერიტორიების 20 პროცენტი რუსეთს რომ ჩააბარა? რაღაც პროდასავლური ლოზუნგების წყალობით, სააკაშვილს ჰქონდა ეს მხარდაჭერა, ხოლო ხალხი დარჩა ამ მხარდაჭერის გარეშე. ეს ორმაგი სტანდარტები მკაფიოდ გამოიკვეთა ახლაც, უკრაინასთან მიმართებაში, რაც ჩემთვის, როგორც რიგითი მოქალაქისთვის, მიუღებელია.

— მართალი ხართ, სწორედ ასეთი არასწორი და ორმაგი სტანდარტები, რომელსაც დასავლეთი ეწევა თავის ინტერესებიდან გამომდინარე, ბადებს ნიჰილიზმს, თანაც გამოკვეთილად დასავლური ორიენტაციის მიმართ. მარტო ამა თუ იმ ხელისუფლების ძახილი, დასავლეთთან ინტეგრიგება გვინდა, გადამწყვეტი ვერ იქნება. ამას საზოგადოება უნდა უჭერდეს მხარს, იმიტომ, რომ თავს მოხვეული დიდხანს ვერაფერი ვერ გაჩერდება. დასავლეთმა ყველაზე პირველი, რაც უნდა გააკეთოს, უნდა იყოს სამართლიანი, სწორ ღირებულებებზე აპელირებული და ასეთ უარყოფით განწყობებს საზოგადოებაში, თავის ორმაგი სტანდარტებიდან გამომდინარე, არ უნდა აჩენდეს.

— შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის, რაც მოხდა საქართველოში 2008 წელს, ახლა ხდება უკრაინაში და ეს ყველაფერი დასავლეთის მხრიდან არის პროვოცირებული?

— რასაკვირველია, ეს ამბავი დასავლეთის პროვოცირებული რომ იყო, ამას აღარც კლიჩკო მალავდა მაიდანზე და აღარც თავად დასავლეთი. მისი (კლიჩკოს) ერთმნიშვნელოვანი მოწოდებები, რომ ხელისუფლების მხრიდან ძალა არ გამოყენებინათ, სწორედ ამაზე მიუთითებს. სასაცილოდ გამოიყურებოდნენ კიევში „დასახმარებლად“ ჩასული ქართველი ნაციონალები, რომლებიც ვითომ მომიტინგეთა არაადამიანური დარბევის გამო აღშფოთებას ვერ მალავდნენ! არადა, ყველას გვახსოვს, როცა საქართველოში მშვიდობიანი მიტინგები ტარდებოდა, რა დღეში ჩაყარეს ოპოზიციონერები. მაშინ ნაცები რატომღაც საკუთარ ხალხზე არ ფიქრობდნენ და უკრაინაში, სადაც ცოცხლად წვავდნენ „ბერკუტის“ წარმომადგენლებს, იქ თურმე ხელისფლებას ძალა არ უნდა გამოეყენებინა. ესეც ცნობილი ორმაგი სტანდარტების კარგად აპრობირებული ფანდია, რომელიც ახასიათებს დასავლეთს და თუ დასჭირდა, რუსეთსაც.

— ბატონო სოსო, ცნობილია, რომ კიევს ხშირად სტუმრობს ნაპრეზიდენტალი, საქართველოს „მაოხრებელ გზირად“ მონათლული სააკაშვილი. ის ხშირად ხვდება ახალი ხელისუფლების წევრებს, უზიარებს ქვეყნის მართვის თავისეულ „მდიდარ გამოცდილებას“ და იმათგანაც იღებს მისთვის სასურველ რჩევებს. აქედან გამომდინარე, ჩნდება ეჭვი, ჩვენი ნაციონალები უკრაინაში რეპეტიციას ხომ არ გადიან იმისთვის, რომ კიევური „მაიდანი“ თბილისშიც გაიმეორონ?

— არ არის გამორიცხული, რომ ქართველი ნაცები, რომელთაც ავკაცურ საქმეთა კეთებაში ბადალი არ მოეპოვებათ, საამისო სცენარსაც ამზადებდნენ. ეს ხდება ყველას თვალწინ იმ ნაციონალების მხრიდან, რომლებიც საპარლამენტო არჩევნებში დამარცხების შემდეგ ბუჩქებში იმალებოდნენ და სოროებში ძვრებოდნენ, მაგრამ კოალიციური ხელისუფლების, უსუსურობისა თუ მონდომების წყალობით, არა თუ ამოძვრნენ სოროებიდან, „ოცნებას“ უკან მობრუნებითაც დაემუქრნენ. ისინი მოქმედ მთავრობას ადანაშაულებენ ოპონენტების პოლიტიკური მოტივით დევნასა და მასობრივ დაპატიმრებებში, უნიათობასა და ეკონომიკის სტაგნაციაში, რეგიონებში ამზადებენ თავიანთ მხარდამჭერ მიტინგებს. ასე რომ, ნაცების გადამრჩენი „ქართული ოცნება“ თუ დროულად არ გამოფხიზლდა, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ თავად გახდეს გადასარჩენი!

ოთარ ხუციშვილი

◎ მილოცვა

ჩვენს ძვირფას მეგობარსა და კოლეგას

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის 1950 წლის კურსდამთავრებულები ვულოცავთ ჩვენს მეგობარს, საქართველოს დამსახურებულ ინჟინერს, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსს, საქართველოს მშენებლობის მინისტრს (1973-81 წწ), იუნესკოსა და სახელმწიფო პრემიების ლაურეატს, მრავალი ჯილდოს, მათ შორის საქართველოს ღირსების ორდენის კავალერს ნოდარ მეძმარიაშვილს დაბადებიდან 85 წლისთავს და ვუსურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს თავის საყვარელ დიდ ოჯახთან ერთად.

ნელი გამყრელიძე, ადიპო გვალია, ზია გიგიბერია, ანატოლი გეწაძე, გივი კვიჭიძე, იოსებ ლალიაშვილი, ლამარა მასხარაშვილი, ირაკლი მილორავა, მილიცა ნადირაძე, კოტე უჩანეიშვილი, იამზე ფანცხავა, ნოდარ ჩიბალაშვილი, ნათელა ჭედია, გუგა ჭოხონელიძე.

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● **კი არის ივანიშვილი დათა თუთაშხია და რადგან ის აღარ ერევა ჩვენს საქმეში, არც ჩვენ უნდა ჩავერიოთ მის საქმეში, მაგრამ მის მოყვანილ უმაქნის მთავრობას და პარლამენტს რა მოვუხერხოთ?**

● **საქართველოს მოსახლეობა 3 მილიონია და ამომრჩეველიც 3 მილიონია? როგორ მოგწონთ თეა წულუკიანის მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით?**

● **დამკითხეთ! არ დამინდოთ! შევარდა ვიღაც პროკურატურაში. გოგენებულ-შეშინებული პროკურორ-გამომძიებლები ოთახებში შეიკეტნენ და გადმოკრკლული თვალებით შესცქეროდენ ტყავის ქვედა საცვალსა და ნეონის განათებიან ქუდში გამოწყობილ მსხვილლაჯებიან არსებას, რომელიც აბრეშუმის მათრახს უმოწყალოდ ატრიალებდა და დამკითხეთ, არ დამინდოთო ყვირილით წინ და უკან დარბოდა. ბოლოს ღონემიხდილი, დასაკითხ არ დასანდობი უცნაური არსება უღონოდ ჩაიკეცა. მკერდზე კარტოფილის მოსასხამი გადაიღეღა და ესღა ამოილუღლუღა — ჯერ მერები დაგვკითხეთ...**

● **მადლობა მთავარ პროკურორს, ნარკომომხმარებლებთან საპროცესოს აკრძალვის გამო. სავარაუდოდ მათ ზნეობაზე ზრუნავენ, რომ არ გაუჩნდეთ სურვილი თანამშრომლობის, ანუ ვინმეს ჩაშვების! ანუ ზნეობის ამაღლების მიზნით ნახმარ შპრიცზე 7-დან 14-მდე? მაღაზიის თავზე შემოწყობილ ორ გვამზე 4 წელი და 6 თვე? ჯობია დახოცო, ვიდრე პლანი მოწიო! ვაი თქვენს პატრონს!**

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ ეკომიგრაცია

თუ სტიქია კაცს საცხოვრისში არ აჩერებს...

ძვეძნის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის სოციალურ-ეკონომიკური ყოფა მეტად მძიმე რომაა, ეს იმდენად აშკარაა, ყოველდღიურად ამის იმდენი ახალ-ახალი ფაქტი ხდება საზოგადოებისთვის ცნობილი, რომ ახლის თქმა, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ერთი კია: გაჭირვებული ხალხის ამ დღეში ყოფნის მიზეზებზე, შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლის გზებზე, განსახორციელებელ ღონისძიებათა ჩამონათვალზე, ასევე ხშირად საამისოდ აუცილებელი სამართლებრივი ბაზის შექმნაზე გაუთავებელი სჯა-ბაასი მიდის, უამრავი პუბლიკაცია, ტელე და რადიოგადაცემა ეძღვნება, მაგრამ არსებითი ძვრები ამ მიმართულებით არა და არ ჩანს.

გაჭირვებული მოსახლეობის ერთი კატეგორია სტიქიურ მოვლენათა შედეგად იძულებით ადგილნაცვალი პირები არიან, რომლებსაც არანაირი სტატუსი არ აქვთ. მართალია, თავად ტერმინი „ეკომიგრანტი“ ზოგიერთ ნორმატიულ აქტში კი არის ნახსენები, მაგრამ მასში ამ განმარტების შესაბამისი კატეგორიის ბედის გამრკვევი რაიმე კონკრეტული სამართლებრივი ნორმა არ არსებობს.

კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) მიერ ეკომიგრანტებით დასახლებულ მხარეების მუნიციპალიტეტში ცხოვრების პირობების შესწავლის მიზნით გამოკვლევის შედეგებით ირკვევა, რომ სტიქიით დაზარალებული და სხვა მხარეებში გადასახლებული მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა უმძიმეს პირობებში ცხოვრობს. სამართლებრივად შესაბამისი სტატუსის უქონლობასთან ერთად თითქმის ყველა ოჯახს, ასევე უძრავი ქონების (სახლების, საკარმიდამო ნაკვეთების, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებისა და ა.შ.) საკუთრებაში მიღებასთან დაკავშირებული პრობლემებიც ემატება.

— ძირითადი პრობლემა ისაა, რომ სახელმწიფოს ეკომიგრანტების მიმართ კონკრეტული საადაპტაციო და საინტეგრაციო გეგმა არა აქვს, —აცხადებს ორგანიზაციის წარმომადგენელი ნინო თევზაძე. — ეკომიგრანტების ყველაზე დიდი მიმღები მხარე საქართველოში ქვემო ქართლია, აქედან გამომდინარე, აქაურ ეკომიგრანტთა პრობლემების „თაიგული“ ყველაზე მრავალფეროვანია. სხვადასხვა კუთხიდან — სვანეთიდან, აფხაზეთიდან, სამაჩაბლოდან, რაჭიდან, აჭარიდან აქ ჩამოსულ ხალხს უჭირს ახალ გარემოსთან შეგუება, ეკომიგრანტთა ყოველ ახალ ნაკადს, ბუნებრივია, საცხოვრისებთან, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებთან, დასაქმებასთან დაკავშირებული პრობლემები და კონკურენცია მატულობს.

საქართველოში სტიქიის შემოტევის, განსაკუთრებით დამეწყვრის საშიშრობა, ფაქტობრივად, ყველგან არსებობს, თუმცა, მეწყერსაშიში ადგილების სიმრავლით განსაკუთრებით სამეგრელო, აჭარა, რაჟა-ლეჩხუმი, ზემო სვანეთი, ქართლი, კახეთი, მთიულეთი გამოირჩევა. აქედან გამომდინარე, ეკომიგრანტები, რეალურად, საქართველოს თითქმის ყველა მხარის წარმომადგენლები არიან, რომელთაგან თითოეულს ცხოვრების თავისებური წესი ახასიათებს და ეს გარემოება, ცხადია, ახალ ვითარებაში მოხვედრილ ხალხს ადაპტაციის პროცესს ხშირად ურთულებს. ამჟამად კი საქართველოში კიდევ 11 ათასი ოჯახია, რომელიც თავისი საცხოვრისებიდან სასწრაფო გამოსახლებას საჭიროებს. თუ ეს პროცესი დროულად არ დაიწყება და შესაბამისი გადაუდებელი ღონისძიებები არ გატარდება, უახლოეს მომავალში დიდ ხიფათს უნდა ველოდოთ, ხოლო ეკომიგრანტთა ნაკადი კიდევ უფრო მეტად გაიზრდება. ეს, ცხადია, სოციალური ვითარების დაძაბულობის გრადუსს მაღლა სწევს, ხშირად იქამდეც კი, რომ ზოგიერთი ოჯახი იქაურობას ვერ ეგუება და ისევ უკან, მართალია, მშობლიურ მხარეში, თუმცა კი ეკოლოგიურად სახიფათო რაიონებში ბრუნდება. თანაც მეტად უარყოფითი შედეგი მოაქვს იმას, რომ სახელმწიფო ეკომიგრანტებს ინფრასტრუქტურულად ნაკლებად მოწყობილ, ანდა, ფაქტობრივად, გაუმართავ სოფლებში ასახლებს, სადაც არც გზაა ხეირიანი, არც გაზი, ელექტროენერგიის პრობლემაცაა და სასმელი თუ სარწყავი წყლისაც.

ეკომიგრანტთა მშობლიურ მხარეებში უკუდინების არასასურველი პროცესი — ისევ ხალხის უსაფრთხოების თვალსაზრისით, აქტიურად გარკვეულ მიზეზთა გამო მიმდინარეობს, რომელთა შესახებ ზემოთ ითქვა. ამის გარდა, ერთ-ერთი მწვავე პრობლემა ხშირად იმ საცხოვრისების დაუკანონებლობაა, რომლებშიც ეკომიგრანტები შესახლებულები არიან. იმის გამო, რომ სახლები და საკარმიდამოები მათ არ ეკუთვნით, ხალხი არც საცხოვრისების კაპიტალურ შეკეთებაზე ზრუნავს ჯეროვნად, არც კომუნიკაციების მკვიდრად გაყვანაზე ირჯება სათანადოდ. ადგილობრივი მმართველობის ორგანოების წარმომადგენლები ამას ზოგჯერ იმით ხსნიან, რომ დაკანონების შემთხვევაში ეკომიგრანტები სახლებს და მიწებს გაყიდიან, თუმცა კი, როგორც CENN-ის წარმომადგენლები აცხადებენ, გამოსავლის გამოძებნა ამ შემთხვევაში ძალიან მარტივად შეიძლება — **საცხოვრისები და სავარგულები ხალხს გარკვეული ვადით გაყიდვის აკრძალვის პირობით უნდა დაუმკვიდრდეს,** რის შემდეგ საკითხი საერთოდ მოიხსნება დღის წესრიგიდან. ამის შედეგი ასევე ისიც იქნება, რომ ადგილზე მეტ-ნაკლებად მტკიცედ დაფუძნებული ეკომიგრანტები მეტად იზრუნებენ საკუთარი კარ-მიდამოს კეთილდღეობაზე, კომუნიკაციებით უზრუნველყოფასა და სხვ.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ პრობლემას მწვავედ არ აღიქვამენ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში, როგორც ეს CENN-ის გამოკვლევაშია მითითებული. კერძოდ, მისი წარმომადგენლები აცხადებენ, რომ **ეკომიგრანტები და ადგილობრივი მოსახლეობა თანაბარ პირობებში ცხოვრობენ, ამდენად, არსებული გარკვეული ინფრასტრუქტურული პრობლემები ყველასთვის ერთია. ხაზს უსვამენ იმ გარემოებასაც, რომ არსებულ ვითარებასთან შეგუებულ ეკომიგრანტთა რიცხოვნობა გაცილებით მეტია, ვიდრე იმათი, ვინც ახალ პირობებს ვერ შეეგუა.**

რაც შეეხება სტიქიით დაზარალებულ მოქალაქეთა სტატუსს, ამ საკითხთან დაკავშირებით საკანონმდებლო მიმართულებით სათანადო მუშაობა მიმდინარეობს და, რაოდენ გასაკვირი და, ამავდროულად, სასიხარულოა, რომ კანონშემოქმედების თვალსაზრისით ამ მხრივ პირველები ვიქნებით. სტიქიით დაზარალებულის სტატუსი საკანონმდებლო სივრცეში პირველად საქართველოში გაჩნდება, რის შედეგად სახელმწიფოსა და ეკომიგრანტების ურთიერთობას კანონი მოაწესრიგებს და გარკვეულ ვალდებულება-მოვალეობებსაც განსაზღვრავს. წლეულს აღნიშნულ კანონპროექტზე მუშაობა საქართველოს პარლამენტში დასრულდება, რის შემდეგ კანონპროექტს ყველა დაინტერესებულ უწყებას გადაუგზავნიან, მერე კი მისი საზოგადოებრივი განხილვები დაიწყება.

ოთარ ტურაბელიძე

◎ ალიან-ჩალიანი

ვისი გახდება რუსთავის მიკროავტობუსების ბაზარი?

ამის შესახებ განცხადებას „თავისუფალი საქართველო“ ავრცელებს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ პარტიიდან აცნობეს, რუსთავის მერიის მიერ გამოცხადებულია გამარტივებული ელექტრონული ტენდერი რუსთავი-თბილისის მარშრუტზე №2 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ადგილობრივ საქალაქო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანებზე. სატენდერო წინადადების მიღება მთავრდება 14 მარტს.

„ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, უკვე ცნობილია ის კომპანია, რომელიც გამოცხადდება ტენდერში გამარჯვებულად (შარანგიების ფინანსური ჯგუფი, რომელიც თბილისის მიკროავტობუსების 100%-ს ფლობს). აღნიშნულ ეჭვს ამყარებს ის გარემოებაც, რომ კომპანიას საქართველოში უკვე შემოყვანილი ჰყავს ათეულობით მიკროავტობუსი (მიკროავტობუსები დიდი დიღმისა და მუხიანის ავტოსადგომებზე არიან გადანაწილებულები).

სატენდერო პირობების გათვალისწინებით, ტენდერში მონაწილეობას ვერ მიიღებენ ის ფიზიკური თუ იურიდიული პირები, რომლებიც დღეის მდგომარეობით ფლობენ ავტოსატრანსპორტო საშუალებებს რუსთავი-თბილისის მარშრუტზე, ხოლო ის მძღოლები, რომლებიც დღეის მდგომარეობით მუშაობენ მოცემულ მარშრუტზე, დიდი ალბათობით, უსამსახუროდ დარჩებიან. მიუხედავად ხელშეკრულებით გათვალისწინებული აკრძალვისა, ისევე როგორც თბილისში, აქაც გაიზრდება მგზავრობის საფასური (თბილისში ღირებულება 60%-ით გაიზარდა).

აღსანიშნავია, რომ 2010 წელს თბილისის მერიის მიერ ანალოგიური ტენდერის გამოცხადებას პ/გ „თავისუფალ საქართველოსთან“ ერთად „ქართული ოცნებაც“ აპროტესტებდა. დღეს კი, როგორც ჩანს, ხელისუფლებაში მყოფი „ქართული ოცნება“ შარანგიების კლანს გაურიგდა და არათუ არ გადახედა თბილისის კორუფციული ტენდერის შედეგებს, არამედ ერთობლივი ბიზნესის გაფართოებაზეც ზრუნავენ.

სამწუხაროდ, ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც „ოცნების“ პოლიტიკური ხელმძღვანელობა უკანონო ბიზნესსაქმიანობაშია მხილებული, ისევე როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ კარზე ბიზნესის საქმეებს განაგებდა დავით კეზერაშვილი, „ოცნების“ კარზე მსგავსი საქმიანობით დაკავდა ჯერ გია ხუსაშვილი, ხოლო ბოლო პერიოდში უფრო და უფრო ხშირად სახელდება უჩა მამაცაშვილის სახელი.

მოვუწოდებთ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, შეაჩეროს უკანონო ტენდერი, ასევე მთავარ პროკურატურას, დაინტერესდეს ტენდერის გამოცხადების კანონიერებით, — ნათქვამია პარტიის განცხადებაში.

ეკონომიკის სამინისტრო გიგი უგულავას სიცრუეში ადანაშაულებს

როგორც სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, თბილისის მთავრობის 2013 წლის 17 მაისის 316.75.608 დადგენილებით, ააიპ თბილისის განვითარების ფონდს დუშეთის რაიონში, სოფელ კაიშაურებში, „მთა ვარცლას“ ტერიტორიაზე არსებული 58839 კვ.მ. მიწის ნაკვეთი საკუთრებაში გადაეცა.

სამინისტროს ინფორმაციით, ამავე დადგენილებით თბილისის განვითარების ფონდს დაევალა, გაასხვისოს — უსასყიდლოდ თანასაკუთრებაში გადასცეს შემდეგ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს — გია პეტრიაშვილს, გურამ ცერცვაძეს, ოთარ რუსაძეს, რევაზ ადამიას, ტარას ნიჟარაძეს, შპს „მაგთივინსა“ და შპს „იბერკომპანის“.

— ამავე დადგენილების მე-3-4 პუნქტებით შესაბამისი პროცედურების გატარების უზრუნველყოფა დაევალა თბილისის განვითრების ფონდს, ხოლო კონტროლი დადგენილების შესრულებაზე დაევალა ქ. თბილისის მერის მოადგილეს დავით ალავიძეს. დადგენილებას ხელს აწერს თბილისის მერის მოადგილე დავით ალავიძე, — აცხადებენ სამინისტროში.

მათივე ცნობით, საჯარო რეესტრის მონაცემებით, მიწის ფართობი, რომელზეც გიგი უგულავა ამასვილებს ყურადღებას, დღემდე ააიპ „თბილისის განვითარების ფონდის“ საკუთრებაა.

— როგორც საჯარო რეესტრის მონაცემის, ისე თბილისის მთავრობის 2013 წლის 17 მაისის №16.75.608 დადგენილების თანახმად, ნათლად ჩანს, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო იურიდიულ კავშირში არ არის კონკრეტულ უძრავ ქონებასთან და, შესაბამისად, გიგი უგულავას მიერ გაკეთებული განცხადება სიმართლეს არ შეესაბამება, — ნათქვამია ეკონომიკის სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ქუჩები კი გაუვალია!

საპრეზიდენტოს თავმჯდომარის მოადგილე ჯაბა სამუშია გუშინ ვახუშტის ხიდის მახლობლად, ქუთაისის ქუჩაზე იმყოფებოდა, სადაც გზის საფარი მძიმე მდგომარეობაშია და ავტომანქანებს გადაადგილება უჭირთ.

სამუშიას განცხადებით, მერიამ საგზაო სამუშაოების ჩასატარებლად ტენდერები მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში გამოაცხადა, თუმცა სამუშაოები დღემდე არ დაწყებულა. სამუშიამ აღნიშნა, რომ ტენდერების გამოცხადება ნიშნავს, რომ მერიას საგზაო სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო თანხები ბიუჯეტის 1/12 ხარჯვის პირობებშიც ჰქონდა.

— მერია სამუშაოების დაწყებას ხელოვნურად აჯანჯლებს, რაც ნიშნავს, რომ ჩვენ საქმე გვაქვს ან საბოტაჟთან, ან რაიმე კორუფციულ სქემასთან. მივმართავ მერის მოვალეობის შემსრულებელს სევდია უგრეხელიძეს, სასწრაფოდ მოიწვიოს მთავრობის სხდომა და რაც შეიძლება სასწრაფოდ დაიწყოს აღნიშნული პრობლემის მოგვარება. არ შეიძლება, თბილისი დაემსგავსოს ქალაქს, სადაც მანქანით გადაადგილება არა კომფორტი, არამედ დიდი ტვირთი იქნება, — დასძინა სამუშიამ.

ინტერპრესი

ყირიმის გაჩუქება. წაპოტინება აფხაზეთზე

ამ რამდენიმე წლის წინათ გამოიცა ცნობილი მეცნიერისა და სახელმწიფო მოღვაწის, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, საქართველოსა და რუსეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილი წევრის, პროფესორ ნაპოლეონ ქარქაშაძის მხატვრულ-ესეისტური წიგნი „ხრუშჩოვი“. იგი მეორე იყო ჩაფიქრებული ტრილოგიიდან „სტალინი“ (შემდეგ მას მესამეც დაემატა — „ბრეჟნევი“).

ეს წიგნი მოგვითხრობს შეცდომათა პერმანენტულ კასკადზე, განიავებამდე რომ მიიყვანა მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყნის სალარო.

გთავაზობთ ერთ თავს წიგნიდან, რომელიც გვაცნობს, თუ როგორ აჩუქა ხრუშჩოვმა ყირიმი უკრაინას და როგორ ცდილობდა, საქართველოსთვის წაერთმია აფხაზეთი. მაშინდელი მოვლენების სადღეისოდ გახსენება, სწორედ რომ, დროულია.

1954 წელს ნიკიტა ხრუშჩოვმა ახალი ავანტიურა წამოიწყო, მან თვითნებურად გადასცა ყირიმის ოლქი უკრაინის სსრ-ს, რაც იმით დაასაბუთა, რომ „უნდა შეიქმნას ერთიანი ეკონომიკური სივრცე“, ყირიმი კი უკრაინასთან უფრო ახლოა, ვიდრე რუსეთის ფედერაციასთანო. პრეზიდიუმის წევრები სრული მდუმარებით შეხვდნენ ამ უპრეცედენტო გადაწყვეტილებას. ყირიმი ხომ რუსეთის სამხედრო დიდების სიმბოლოა, მის სახელთანაა დაკავშირებული სახელგანთქმული ადმირლების ნახიმოვის, ლაზარევისა და უშაკოვის გმირობები, მხედართმთავრების პოტიომკინისა და კუტუზოვის გამარჯვებები. ყირიმი რუსი ხალხის ეროვნული სიამაყის ქვაკუთხედია. და აი, 1954 წელს, როდესაც საზეიმოდ უნდა აღენიშნათ უკრაინის რუსეთთან შეერთების 300-წლოვანი იუბილე, ხრუშჩოვი იღებს გადაწყვეტილებას ყირიმის უკრაინასთან შეერთების შესახებ. ერთპიროვნულად მისცა ამის გარანტია უკრაინის პარტიულ ხელმძღვანელს დ. კოროტჩენკოს, როდესაც ისინი იხილავდნენ რუსეთ-უკრაინის გაერთიანების საიუბილეო ღონისძიებებს. თავდაპირველად საუბარი ასე წარიმართა:

კოროტჩენკო — ნიკიტა სერგის ძევ, კარგი იქნება, თუ კიევის ცენტრში დაიდგმება რუსი და უკრაინელი ხალხების მეგობრობის ამსახველი ძეგლი.

ხრუშჩოვი — კარგია, მაგრამ ეს არ კმარა, უკრაინელი ხალხი უფრო დიდი საჩუქრის ღირსია — კოროტჩენკომ ყურები ცქვიტა და ხრუშჩოვს მიაჩერდა — მე დიდხანს ვიმუშავე უკრაინაში და ნუ მიწყენს რუსი ხალხი, მაგრამ თავს უფრო უკრაინელად ვთვლი, ვიდრე რუსად.

კოროტჩენკო — მარტო თქვენი ეს სიტყვები კმარა, უკრაინელი ერის დასაფასებლად.

ხრუშჩოვი — უკრაინამ ბევრი გააკეთა საბჭოთა კავშირისათვის, ჩვენ ზოგჯერ ბოროტადაც ვიყენებდით მათ კეთილ განწყობილებას, ამიტომ უკრაინელი ხალხი დიდი საჩუქრის ღირსია... მე გადავწყვიტე უკრაინას შევუერთო ყირიმი.

როგორც ამბობენ, კოროტჩენკო მოულოდნელობისგან სკამიდან კინაღამ ჩამოვარდა.

კოროტჩენკო — კი მაგრამ, ეს ხომ ბევრს გაანაწყენებს, როგორ შეხედავენ ამ გადაწყვეტილებას პრეზიდიუმის წევრები? — ენის ბორძიკით იკითხა მან.

ხრუშჩოვი — მათ ნაკლებად შევეკითხებით, ისინი იმედია, დაადასტურებენ ამ გადაწყვეტილებას.

„მათ მართლაც ვინ ჰკითხავდა?“; არც ხრუშჩოვმა ჰკითხა. მან მოულოდნელად დააყენა საკითხი პრეზიდიუმზე, დავალება მისცა უმაღლეს საბჭოს გადაწყვეტილების მოსამზადებლად. პრეზიდიუმის დღის წესრიგში კი მოგვიანებით შეიტანეს საკითხი — „ყირიმის ოლქის რსფსრ-დან უკრაინის სსრ შემადგენლობაში გადაცემის შესახებ“. 1954 წლის 19 თებერვალს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, რომელსაც ვოროშილოვი ხელმძღვანელობდა, მიიღო შესაბამისი სახელმწიფოებრივი აქტი.

* * *

ნიკიტა სულაც არ იყო ისეთი, როგორადაც თავს აჩვენებდა. მთელი ცხოვრება გულღია, მართალი კაცის როლს თამაშობდა, მყარ თვისებად ჩამოუყალიბდა თავის შენარჩუნების ინსტინქტი და ყველანაირად ცდილობდა, არ გადაეხვია ამ გზიდან. იქნებ იცოდა კიდეც, რისთვისაც ინახავდა თავს და დროს ელოდა. ეს დროც დაუდგა, ერთბაშად იფეთქა ორგანიზმში დაგროვილმა უარყოფითმა მუხტმა, განსაკუთრებით, ქართველებისადმი გენეტიკურმა სიძულვილმა იმძლავრა და მოსვენება დაუკარგა.

მოუხშირა აფხაზეთში სიარულს, მიუსერაში სტალინის სადა აგარაკი იუკადრისა, ბიჭვინთის პლაჟებზე სასახლე ააგებინა. 12 ჰექტრამდე შემორაგეს ბიჭვინთის სანაპირო, წალკოტი ააშენებინა ქართველებს. დღედაღამ მუშაობდნენ მეტყევეები და დეკორატორები, მართლაც სამეფო პალატები დაიდგა ზაფხულისა და ზამთრის საცურაო აუზებით, რომლებშიც სურვილისამებრ ზღვისა და მტკნარი წყალი ელვის სისწრაფით ცვლიდა ერთმანეთს. ვერანდიდან კატარღა ლიფტით ეშვებოდა ზღვაზე. აღტაცებული შეჰყურებდა სამოთხისდარ სილამაზეს და სიბრაზე ყელში აწვებოდა, რომ ყველაფერი ეს საქართველო იყო.

ბღაჟუბას თხოვეთ, ვახშმისათვის მეწვიოსო, დაავალა თანაშემწეს, როდესაც ლიფტმა კატარღასთან ერთად ვერანდაზე ამოიყვანა. საცურაო ტრუსებში გამოწყობილი, დამრგვალებული ტანითა და ბაჯბაჯა სიარულით ცირკის ჯამბაზს უფრო ჰგავდა, რომელიც სცენაზე მხოლოდ იმიტომ გამოჰყავდათ, რომ თავისი იერით ხალხი გაეცინებინა. ვერანდაზე ამოსულს სწრაფად მიურბენინეს ლურჯი აბრეშუმის ხალათი და რბილი ტყავის ჩუსტები.

— სადილად როდის დავჯდებით? — იკითხა და უზარმაზარი ვერანდის იმ ნაწილისაკენ წაბაჯბაჯდა, რომელიც ზოლებიანი ტილოს ქსოვილით მსუბუქად იყო გადახურული. თეთრი სელის საფარაძელში ჩამჯდარს მალე ჩაეძინა, კოტიტა ხელები ძირს ჰქონდა ჩამოკიდებული და თავიც ისე ჩაექინდრა, რომ კაცი იფიქრებდა, ახლა მოძვრება და საზამთროსავით დაგორდებაო.

საღამოს, თეთრ სამოსში გამოწყობილს, მოახსენეს საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის მოსვლა. მიხეილ თემურის ძე ბღაჟუბა ტიპური აფხაზი იყო, რომელსაც პროვინციული განათლების მიუხედავად, საკმაოდ გამჭრიახი ჭკუა ჰქონდა. საშუალო ტანის, მოხდენილ მამაკაცს ჯერ კიდევ სამხედრო სამსახურში ყოფნის დროს კარგად ჰქონოდა შესწავლილი ე. წ. „ჯენლტმენის“ არმიული თვისებები. უკრავდა ფორტეპიანოზე, მღეროდა არიებს, ცეკვავდა ფოქსტროტსა და ვალსს, ჰქონდა იუმორი, უყვარდა სუფრა და კარგ თანამესუფრედ ითვლებოდა. ხრუშჩოვი პირველი შეხვედრისთანავე მოიხიბლა სიმპატიური აფხაზით, რომელმაც საოცარი თავაზიანობისა და მასპინძლობის უნარი გამოამჟღავნა.

— შესანიშნავად გამოიყურებით, ნიკიტა სერგის ძევ, — უთხრა ხელის ჩამორთმევის შემდეგ ხეივანში მოსეირნე ხრუშჩოვს და უმალ გვერდზე გადადგა, რათა მისი მოძრაობისთვის ხელი არ შეეშალა.

— როგორაა საქმეები? — მედიდურად იკითხა ნიკიტამ და ხელით ანიშნა გამომყევიო.

— ორი თეთრი ციკანი მოგიყვანეთ შვილიშვილებისათვის, გაერთობიან, — უპასუხა ბღაჟუბამ და ხრუშჩოვის დაცვას, თხოვა ციკნები მოეყვანათ. ხრუშჩოვმა ხელი გადაუსვა თეთრ, მოუსვენარ ცხოველებს.

— გმადლობთ, განსაკუთრებით ჩემს შვილიშვილს, ნიკიტას გაეხარდება, — თქვა ხრუშჩოვმა, შემდეგ დაცვას ანიშნა, წაიყვანეთო და ბღაჟუბას მიუბრუნდა.

— მიხეილ თემურის ძევ, თქვენ საქართველოში ცხოვრობთ, ასეა არა? — ნიკიტა შეჩერდა და ბღაჟუბას მიაჩერდა, ხრუშჩოვის სახის გამომეტყველებით აშკარად ჩანდა, რომ მას რაღაცის თქმა უნდოდა. აფხაზეთის კომპარტიის პირველი მდივანი დაიძაბა.

— დიახ, ნიკიტა სერგის ძევ, აფხაზეთი საქართველოს რესპუბლიკაში შედის. — უპასუხა მან.

— თქვენ იცით ქართული? — ისევ იკითხა ნიკიტამ.

— ქართული მესმის, მაგრამ ვერ ვლაპარაკობ, აი, მეგრული ვიცი. — იყო პასუხი.

— მეგრული რაღაცაა? ვიცი, რომ საქართველოში ქართველების გარდა ცხოვრობენ მეგრელები, გურულები, კახელები, კიდევ სხვები.

— მეგრული იგივე ქართულია, ძველი ქართული, ანუ ლაზური ენა, ამ ენას ძირითადად დასავლეთ საქართველოში ხმარობენ.

— არ გიშლით ხელს მუშაობაში ის, რომ თქვენ ქართული არ იცით? — ისევ იკითხა ხრუშჩოვმა.

— მე რუსული განათლება მაქვს მიღებული, ჯარშიც კარგა ხანს ვმსახურობდი, ენას კი პრაქტიკა სჭირდება. — გულუბრყვილო გამომეტყველებით უპასუხა ბღაჟუბამ, თუმცა შინაგანად ძალიან დაძაბული იყო. გრძნობდა ჭკვიანი აფხაზი, რომ ხრუშჩოვი მთავარი სათქმელისკენ მიდიოდა, ხვდებოდა კიდეც, რაც უნდა ეთქვა, მაგრამ მაინც ჰქონდა იმის იმედი, რომ ქვეყნის პირველი პირი თავს შეიკავებდა უხერხული კითხვებისგან.

— არ სწყინთ ქართველებს, რომ თქვენ ქართული არ იცით? — აგრძელებს საუბარს ხრუშჩოვი.

— მესმის ქართული საუბარი, ამიტომ ჩემთვის არაა პრობლემა ქართველებთან ურთიერთობა. სხვათა შორის, ქართველებმა კარგად იციან რუსული და ჩვენი სასაუბრო ენაც რუსულია. — არ დაიბნა ბღაჟუბა.

— რუსული სახელმწიფო ენაა სსრ კავშირში, ხოლო ქართული — საქართველოში. თქვენ კი საქართველოში ცხოვრობთ და ქართული არ იცით.

ნიკიტა არ ეშვებოდა, იგი მწვავე საუბრისათვის ამზადებდა ბღაჟუბას.

— თუ ეს აუცილებელია, ვისწავლი, ეს პრობლემა არაა, თუმცა, ქართველებს ჩემთვის ამის შესახებ არ უთქვამთ.

— რატომ უნდა ისწავლოთ, თქვენ შესანიშნავად ფლობთ რუსულ ენას, ალბათ, იცით თქვენი მშობლიური აფხაზურიც. რატომ უნდა დაიტვირთოთ თავი, მით უმეტეს, რომ ქართულად მხოლოდ საქართველოში ლაპარაკობენ...

— ნიკიტა სერგის ძევ, თითქოს გამოცდას იბარებდეთ, სულ გავიწურე ოფლში. — თქვა ბღაჟუბამ და ცხვირსახოცით სახიდან ოფლი მოიწმინდა.

— საინტერესო საუბარია, ჭკუის სასწავლებელი და განსჯისათვის აუცილებელი, ხომ ხედავთ, რამდენი რამ გავარკვიეთ, მაგალითად ის, რომ თქვენ, აფხაზეთის ხელმძღვანელმა, რომელიც საქართველოს შემადგენლობაში შედის, ქართული არ იცით, თუმცა ამის გამოსწორება შეიძლება. — ხრუშჩოვი შეჩერდა და მოსაუბრეს თვალებში ჩააჩერდა.

— რასაკვირველია შეიძლება, მე უნდა ვისწავლო ქართული და პირობას გაძლევთ თქვენი შემდეგი ჩამოსვლისას ქართულად მოგესალმებით. — თქვა ბღაჟუბამ, რომელიც ისევ გულუბრყვილო ბავშვივით იღიმებოდა.

(დასასრული იძნება)

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საქართველოს უმზადებენ გეგმას ყირიმის ხედით

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, საქართველოს სექტემბერში უკვე შეიძლება მისცენ ნატოს წევრობის მოქმედების გეგმა. ამის შესახებ ჩვენ გვაცნობა წყარომ ალიანსის შტაბ-ბინაში და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტში. მოსაუბრეების სიტყვებით, ამ საკითხის საბოლოო გადაწყვეტა დამოკიდებული იქნება უკრაინაში კრიზისის შედეგზე.

თუ ნახევარკუნძული შევა რუსეთის შემადგენლობაში, თბილისს, შეიძლება, ნატოს პერსპექტივა გაეხსნას

თუ ყირიმი 16 მარტის რეფერენდუმის შედეგებით შევა რუსეთის შემადგენლობაში, მაშინ სექტემბრისთვის დანიშნულ ნატოს სამიტზე დიდ ბრიტანეთში საქართველოს შეიძლება მიანიჭონ მაპი. ამის შესახებ ჩვენს გაზეთს უამბო წყარომ ნატოს შტაბ-ბინაში და დაადასტურა თანამოსაუბრემ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტში. საკითხი შეეხება პირობების ჩამონათვალს პოლიტიკურ, სამხედრო, ეკონომიკურ და სამართლებრივ სფეროებში, რომელთა შესრულების შემდეგაც ქვეყანას ალიანსში ღებულობენ. ამჟამად მაპის მონაწილეებად ითვლებიან მაკედონია, ჩერნოგორია და ბოსნია.



ნატოში წევრობის პერსპექტივა საქართველოსთვის გაიხსნა ალიანსის სამიტზე ბუქარესტში 2008 წლის აპრილში. გერმანიისა და საფრანგეთის წინააღმდეგობის გამო თბილისმა ვერ მიიღო მაპი, მაგრამ საქართველოს მისცეს მტკიცე დაპირება, რომ მას შეუძლია შეუერთდეს ალიანსს მომავალში. 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტისა და რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ ეს საკითხი გაქრა დღის წესრიგიდან — ალიანსის უკანასკნელმა სამიტმა 2012 წელს ჩიკაგოში მხოლოდ ბუნდოვნად დაადასტურა, რომ ნატოს კარი თბილისისთვის ღიაა.

„რუსეთის მოქმედებებმა უკრაინაში მიგვიყვანა დისკუსიის განახლებამდე აღმოსავლეთ ევროპაში ალიანსის უფრო გადამჭრელი პოლიტიკის აუცილებლობის შესახებ, — განუცხადა ჩვენს გაზეთს წყარომ ნატოს შტაბ-ბინაში. — იმის შესახებ, რომ თბილისის განაცხადი კანდიდატის სტატუსის მიღების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს, დაიწყეს საუბარი იმ სახელმწიფოთა წარმომადგენლებმაც კი, რომლებიც ცოტა ხნის წინათ მოგვიწოდებდნენ, არ მოვახდინოთ ამ საკითხის ფორსირება“. თანამოსაუბრის სიტყვებით სახელმწიფო დეპარტამენტში, საქართველოს პრემიერ-მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ ვაშინგტონში იმყოფებოდა, თეთრი სახლის წარმომადგენლები დაჰპირდნენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მხარს დაუჭერს თბილისის სურვილს, ნატოში ინტეგრირების შესახებ.

თავად ღარიბაშვილმა, როდესაც სიტყვით გამოდიოდა ვაშინგტონის „ატლანტიკურ საბჭოში“, აშკარად გვაგრძნობინა, რომ საქართველოში ხელისუფლების შეცვლას გავლენა არ მოუხდენია მის ჩრდილოატლანტიკურ მისწრაფებაზე. განსაკუთრებულ ფსონს, მისი სიტყვებით, თბილისი ჩადის ვაშინგტონზე. **„ჩვენ ამერიკის შეერთებულ შტატებს მივიჩნევთ ამ ალიანსის უტყუარ ლიდერად და, საერთოდ, ლიდერად მთელ თავისუფალ სამყაროში,** — თქვა მან. — **მას შემდეგ, რაც საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა, ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერდა ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას, უსაფრთხოებასა და დემოკრატიას“. ახლა კი, ღარიბაშვილის სიტყვებით, თბილისს იმედი აქვს, რომ „ამერიკის შეერთებული შტატები გახდება საქართველოს კარი ნატოში“.**

რუსეთი მის საზღვრებთან ნატოს მიახლოების პერსპექტივას მიუღებლად მიიჩნევს. რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა ალიანსის გაფართოებას ამ ცოტა ხნის წინათ „ცივი ომის ეპოქის ძველი ლოგიკის გაგრძელება“ უწოდა. „ეს არა მხოლოდ გამყოფი ხაზების შენარჩუნებაა, რომლის აღების ვალდებულებაც ჩვენ არ გვიკისრია, ეს არის ამ გამყოფი ხაზების წინ წაწევა აღმოსავლეთისკენ, რაც ძირეულად ეწინააღმდეგება იმ ვალდებულებებს, რომლებიც მიღებული იქნა უმაღლეს დონეზე დაუნაწილებლობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით“, — აღნიშნა მან.

მიუხედავად ამისა, ჩვენი წყაროს სიტყვებით სახელმწიფო დეპარტამენტში, **„თუ რუსეთი გამოაცხადებს იმის შესახებ, რომ იერთებს ყირიმს, საკითხი საქართველოსთვის მაპის მინიჭების შესახებ შეიძლება ფაქტობრივად გადაწყვეტილებად ჩაითვალოს“. სიტყვა „ფაქტობრივად“ მოსაუბრემ განმარტა იმით, რომ ამას შეიძლება ხელი შეუშალოს მხოლოდ გერმანიამ, რომლის საგარეო საქმეთა სამინისტროსაც ისევე როგორც 2008 წელს, სათავეში უდგას მოსკოვისადმი ლოიალურად განწყობილი ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი. „სხვათა შორის, ბერლინისა და მთელი რიგი სხვა სკეპტიკოსების აზრი შეიძლება შეიცვალოს: ყირიმის მიერთება რუსეთის ფედერაციასთან ევროკავშირის არც ერთ დედაქალაქში არ მიაჩნიათ მისაღებად“** — დარწმუნებულია ჩვენი თანამოსაუბრე.

როდესაც ნატოში ინტეგრაციის პერსპექტივებზე საუბრობს, საქართველოს ხელისუფლება გვერდს უვლის საკითხს იმის შესახებ, თუ რა მოხდება აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით. ამჟამად საქართველოში მიმდინარე პროცესის პარალელურად, ევროკავშირში ინტეგრაციასთან დაკავშირებით, მისი ტაქტიკა უფრო გარკვეულია. „მათ (აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს — რედ.) თვალწინ ექნებათ ნათელი სურათი — იქნებ არა უმალვე, მაგრამ ხუთი ან ათი წლის შემდეგ მაინც. ისინი დაინახავენ სხვაობას, — განმარტა პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა. — და მაშინ უნდა გადაწყვიტონ: იცხოვრონ სიბნელეში თუ გადადგან ნაბიჯი ნათელი მომავლის შესახვედრად“. თუმცა ნატოში წევრობასთან დაკავშირებით ასეთი არგუმენტაცია აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის მისამართით ძნელად რომ ამოქმედდეს.

როგორ გამოაცხადა საქართველომ „ახალი რუსული პოლიტიკა“

თებერვლის დასაწყისში საქართველოს მთავრობის მეთაურმა განაცხადა, რომ წინა ხელისუფლების „რადიკალურმა მიდგომამ“ რუსეთთან დაკავშირებით „საქართველოს უზარმაზარი ზიანი მიაყენა“. ამას გარდა, ბატონმა ღარიბაშვილმა შეგვახსენა ევროპელი ლიდერების მხრიდან საქართველოს „ახალი პოლიტიკის სრული მხარდაჭერა, რის შედეგადაც რუსეთმა დაიწყო საპასუხო კონსტრუქციული ნაბიჯების გადადგმა“.

Коммерсантъ

უკრაინისგან ყირიმის გამოყოფის საპასუხოდ ნატო ემზადება, თავისთან უხმოს საქართველოს

უკრაინის კრიზისი, რომელმაც გაამწვავა უიმისოდაც არცთუ ყველაზე თბილი ურთიერთობანი რუსეთის ფედერაციასა და დასავლეთის ქვეყნებს შორის, ლოგიკურად ქმნის წინაპირობას სიტუაციის გამძაფრებისთვის არცთუ შორეულ პერსპექტივაში. როდესაც აღმოჩნდნენ იმის საფრთხის წინაშე, რომ დაკარგავენ, ბოლოს და ბოლოს, „დაპყრობილი“ უკრაინის ნაწილს, მოსკოვის ოპონენტები ემზადებიან, გადადგან ნაბიჯები, რომელთა მიზანიცაა, შეინარჩუნონ სტატუს-კვო პოსტსაბჭოთა სივრცეში. პრესის მონაცემებით, ნატო უახლოეს თვეებში წინადადებას შესთავაზებს საქართველოს.

აქვს თუ არა საქართველოს ახალ ხელისუფლებას ასეთი სურვილი, საკმაოდ რთული საკითხია. სხვათა შორის, საქართველო ყოფილი პრემიერის ბიძინა ივანიშვილის მოსვლის მომენტიდან არ მალავდა, რომ ინარჩუნებს მიზანს როგორც ევროპასთან, ისე ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ნატოსთან დაახლოების შესახებ.

უკრაინისთვის ამგვარი საკითხი ჯერჯერობით დღის წესრიგში არ აღინიშნება. ადგილობრივი პოლიტიკოსების მიერ ამას წინათ გადაკვრით ნათქვამი — ნატოსთან ურთიერთობების განმტკიცების თეორიული შესაძლებლობის შესახებ — სერიოზულად არ ყოფილა აღქმული თავად კიევის ახალი ხელისუფლების მიერ. მიუხედავად ალიანსის განცხადებისა იმის შესახებ, რომ უკრაინისთვის „კარი ყოველთვის ღიაა“. ასეთივე შესაძლებლობანი ექვსი წლის განმავლობაში არსებობს საქართველოსთვისაც, რომელმაც 2008 წელს ვერ მიიღო მაპი გერმანიისა და საფრანგეთის წინააღმდეგობის გამო და რომელმაც დაკარგა ეს პერსპექტივები იმავე წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ: რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ ეს საკითხი მოიხსნა ალიანსის სამიტების დღის წესრიგიდან და გადაიდო უკეთესი დროისთვის.

newsru.com

დედამიწის ზურგზე

ყირიმმა რუსეთში შესვლის დროს შეიძლება რესპუბლიკის სტატუსი მიიღოს

როგორც ყირიმის პირველმა ვიცე-პრემიერმა რუსტამ ტემირგალიევმა განაცხადა, რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლის შემთხვევაში ყირიმი არ იქნება ავტონომიური ოლქი ან საერთოდ ოლქი, იგი მიიღებს რესპუბლიკის სტატუსს. ნახევარკუნძულს ექნება სახელმწიფოებრიობის ატრიბუტები, მათ შორის, ექნება თავისი კონსტიტუცია, სახელმწიფო ენის უფლება, აღნიშნა ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების წარმომადგენელმა.

* * *

აშშ-ის კონგრესის ძველა პალატამ მიიღო რეზოლუცია რუსეთის წინააღმდეგ სანქციების შესახებ

წინადადებას მხარი დაუჭირა პალატის 402 წევრმა, წინააღმდეგი იყო 7. მიღებულ დოკუმენტს არ აქვს კანონის ძალა, იგი მხოლოდ „ასახავს წარმომადგენელთა პალატის პოზიციას“ რუსეთის ფედერაციის მოქმედებასთან დაკავშირებით უკრაინის მიმართ. სენატმა ასევე მოიწონა სარეკომენდაციო ხასიათის რეზოლუცია ეკონომიკური სანქციების შესახებ რუსეთთან დაკავშირებით.

* * *

„ცისარტყელა“ ვენერაზე პირველად აღმოჩნდა კოსმოსური ტელესკოპის ფოტოზე

დედამიწის პირობებში „გლორია“ არის ჩვეულებრივი ცისარტყელა. მაგრამ ვენერაზე ამ „ცისარტყელას“ აქვს ადამიანის თვალისთვის მიუჩვეველი განსხვავებული ნახევარრგოლების ფორმა — ფერადი წრეები, სინათლის მკვეთრი წყაროებით ცენტრში, და ისინი მოხვდნენ გადასაღები აპარატის ფოტოზე. ფოტოგრაფიების წყალობით მეცნიერებს იმედი აქვთ, უკეთესად განსაზღვრონ ვენერის ატმოსფერო.

* * *

დაკარგული „ბოინგი“ დაშორდა კურსს ასობით კილომეტრზე და მიფრინავდა მალაკის სრუტის მიმართულებით

ასეთი მონაცემები ადგილობრივი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა მიიღეს მალაიზიის სამხედრო-საჰაერო ძალებისგან. მათმა რადარმა თითქოსდა დააფიქსირა „მალაიზიის ავიახაზების“ თვითმფრინავი ასობით კილომეტრის დაშორებით იმ პუნქტიდან, სადაც მისი ადგილმდგომარეობა უკანასკნელად განსაზღვრა ქვეყნის სამოქალაქო ავიაციამ. მოგვიანებით სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლობამ უარყო თავისი სიტყვები.



◎ გამოფენა

გაიცანით დურმიშხან კიკნაძე!

საქართველოში არა ერთი და ორია ისეთი მხატვარი, რომლის შემოქმედებასაც ხელოვნების მოყვარულთა გაოცება და ყურადღების მიპყრობა შეუძლია. თუმცა, დასანანია, რომ ჩვენი საზოგადოება ზოგიერთ მათგანს ჯერ კიდევ არ იცნობს. ამ ხარვეზის შევსების უაღრესად წარმატებული ცდა იყო გამოფენა, რომელიც 11 მარტს გაიხსნა გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმში.

რთული და მრავალფიგურიანი კომპოზიციები, ფერთა სიუხვე და გამორჩეული ხელწერა მხატვარ დურმიშხან კიკნაძის ნამუშევრებს უდავო განსაკუთრებულობას ანიჭებს. პროფესიული მხატვრობა მან 25 წლის ასაკიდან დაიწყო, თუმცა „პროფესიული მხატვარი“ მას რამდენადმე პირობითად შეიძლება ეწოდოს. მართალია, მრავალი წლის წინათ მოსკოვის სახალხო უნივერსიტეტის დაუსწრებელი განყოფილება დაამთავრა და ამის დამადასტურებელი მოწმობაც აიღო, უკვე მანამდე იყო ჩამოყალიბებული მხატვარი გამოკვეთილი სტილით, რაც მის შემოქმედებას ნაივური ხელოვნების ჩარჩოში აქცევს.

თვითონაც საკუთარ ნახატებს ჰგავს — უშუალო, მოკრძალებული, უპრეტენზიო. იჯდა საგამოფენო დარბაზის კუთხეში და ვინც პირადად არ იცნობდა, ექსპოზიციის მეთვალყურედ თუ ჩათვლიდა. 57 წლისაა, ტანმორჩილი, სევდიანი, უთქმელი. ბოლო დროს ძალიან ავადმყოფობს. ერთი შეხედვით, თითქოს სრულიად უემოციოდ იღებდა დამთვალიერებელთა მილოცვებს. არადა, ალბათ, სულაც არ იყო ასე. შეუძლებელია, ამ ნამუშევრების ავტორი ემოციური ადამიანი არ იყოს.

ხაშურში დაიბადა. 70-იან წლებში ოჯახი ქობულეთში გადავიდა საცხოვრებლად. დურმიშხანმა ქობულეთში დაამთავრა სკოლა და მხატვრობასაც ქობულეთში ეზიარა. ხელში ფუნჯის დაჭერა და ფერწერის ანბანი მხატვარმა მიხეილ ფაღავამ ასწავლა. მერე თვითონ ასწავლიდა ხატვას და ხაზვას საშუალო სკოლაში. ხატავდა მხოლოდ თავისუფალ დროს; საშუალება არ ჰქონდა, მთლიანად მხატვრობისთვის მიეძღვნა თავი. ოჯახური პირობების გამო წლების მანძილზე სრულიად მოწყვეტილი იყო საყვარელ საქმეს. მხოლოდ ბოლო 5-6 წლის მანძილზე განაახლა ინტენსიური შემოქმედებითი მუშაობა. რამდენჯერმე მიიღო მონაწილეობა აჭარის მხატვართა ერთობლივ გამოფენებში.

მისი პირველი პერსონალური გამოფენა 2014 წლის იანვარში, ბათუმის ხელოვნების მუზეუმში გაიმართა. აქ მან 40 ფერწერული ნამუშევარი წარმოადგინა. სწორედ ამ გამოფენით აღმოაჩინა ის ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა ქეთევან გოგოლაძემ, ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის პროფესორმა, რომელმაც ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ დურმიშხან კიკნაძის აღმოჩენით გამოწვეული სიხარული ფართო აუდიტორიისთვისაც გაეზიარებინა.

— როცა პირველად ვნახე ბატონი დურმიშხანის ნამუშევრები, მაშინვე გამიჩნდა სურვილი, რაც შეიძლება მეტ ადამიანს გაეცნო იგი. ბათუმის გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრების ფოტორეპროდუქციები გამოვუგზავნეთ ქალბატონ ლალი ცომაიას, ლიტერატურის მუზეუმის საგამომცემლო განყოფილების კურატორს, რომელმაც დურმიშხან კიკნაძის შემოქმედება მუზეუმის დირექტორს, ბატონ ლაშა ბაქრაძეს გააცნო. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ დურმიშხან კიკნაძის შემოქმედების გაცნობა თბილისელებსაც შეუძლიათ.

გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმი უკვე წლებია, მრავალფეროვან საგამოფენო და საგამომცემლო პროექტებს ახორციელებს, რომლებიც ლიტერატურასთან ერთად მოიცავს მხატვრობას, ფოტოგრაფიას და ხელოვნების სხვა დარგებს. და ეს დაუგეგმავი, რამდენადმე იმპროვიზებული გამოფენაც კარგად ჩაეწერა ამ პროექტთა რიგში.

მხატვარმა გამოფენის გახსნაზე მადლობა მოახსენა მუზეუმის ხელმძღვანელობას და ყველას, ვინც სრულიად უანგაროდ მონაწილეობა მიიღო მისი ნამუშევრების თბილისში ჩამოტანასა და ამ ექსპოზიციის მოწყობაში.

გამოფენაზე დურმიშხან კიკნაძის 60 ნამუშევარია წარმოდგენილი. აქ არის ნატურმორტიც, პეიზაჟიც, ჯგუფური



პორტრეტიც, მაგრამ ყველაზე დამახასიათებელი მხატვრის შემოქმედებისთვის მრავალპერსონაჟიანი ჟანრული სცენებია, რომლებიც, ერთი მხრივ, ყოველდღიური ცხოვრების უბრალოებითაა დაღდასმული, მეორე მხრივ კი, დიდ ემოციას, ხშირ შემთხვევაში ტრაგიზმს იტევენ.

— ეს გამოფენა მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა, — ამბობს მხატვარი გია ხუციშვილი, **— კი, ის მთლიანობაში ტრაგიკულ შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ რაც ტრაგიკულია, ის, ამავე დროს, ხომ ნამდვილი ხელოვნებაა. დურმიშხან კიკნაძის სახით ჩვენ გავიცანით უაღრესად საინტერესო და მაღალი დონის მხატვარი.**

გამოფენა ლიტერატურის მუზეუმში 21 მარტამდე გასტანს.

მაკო ცირეკიძე



◎ ნელსონ მანდელა

ბრძნული გამონათქვამები

ნელსონ მანდელა — სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი. პრეზიდენტობამდე იყო ანტიაპერტეიდის მოძრაობის აქტივისტი და აფრიკის ნაციონალური კონგრესის (ანკ) ლიდერი. ციხეში გატარებული 27 წლის განმავლობაში მანდელა გახდა ანტიაპერტეიდის მოძრაობის და, ზოგადად, რასული თანასწორობისათვის ბრძოლის სიმბოლო როგორც სამხრეთ აფრიკაში, ისე მის საზღვრებს გარეთ.

1990 წელს ციხიდან განთავისუფლების შემდეგ მანდელამ შეცვალა თავისი პოლიტიკური კურსი ზომიერისკენ, რამაც ხელი შეუწყო სამხრეთ აფრიკაში რასობრივი შუღლის შემსუბუქებას და დემოკრატიის დამყარებას. მანდელას მიღებული აქვს ასზე მეტი სხვადასხვა ჯილდო, მათ შორის, ნობელის პრემია მშვიდობის დარგში (1993წელს), სამხრეთ აფრიკაში ის მოიხსენიება როგორც მადიბა, წოდება, რომელსაც მანდელას კლანის მხცოვან და პატივცემულ წევრებს ანიჭებენ.

გთავაზობთ მის რამდენიმე გამონათქვამს:

- **იყო თავისუფალი, არ ნიშნავს მხოლოდ მარწუხების და ბორკილებისგან გათავისუფლებას, არამედ იმასაც, რომ ცხოვრებაში დააფასო სხვისი თავისუფლება და გაავრცელო ის.**
- **ყოველთვის შეუძლებლად მიგაჩნია, სანამ გააკეთებ.**
- **ფულს არ ძალუძს შექმნას წარმატება, რასაც თავისუფლება უზრუნველყოფს.**
- **არაფერია თვითშეცნობისთვის იმაზე კარგი, რომ დაბრუნდე იქ, სადაც არაფერი არ შეცვლილა. მაშინ გაიგებ თუ რაოდენ შეიცვალე.**
- **ყოველი მთის დალაშქვრისას, შენს წინ ჩნდება კიდევ უფრო მაღალი მთები, რომელთა დალაშქვრაც მხოლოდ შენ მოგიწევს.**
- **გამარჯვებული არის მეოცნებე, რომელიც არასდროს ნებდება.**
- **განათლება არის ყველაზე ძლიერი იარაღი, რომელიც შეგიძლიათ გამოიყენოთ მსოფლიოს შეცვლისთვის.**
- **კარგი ხელმძღვანელობა და კარგი გული ყოველთვის შესანიშნავი კომბინაციაა.**
- **თუ თქვენ ესაუბრებით კაცს გასაგებ ენაზე, ყოველივე მიდის მის თავში და თუ კი თქვენ ესაუბრებით მას მის მშობლიურ ენაზე, ყოველივე მიდის მის გულში.**
- **თუ გსურს დაამყარო მშვიდობა შენს მტერთან, უთუოდ მოგიწევს მასთან ერთად მუშაობა. მხოლოდ ამის შემდეგ გახდება შენი პარტნიორი.**
- **ჩვენ უნდა გამოვიყენოთ დრო გონივრულად და სამუდამოდ გავაცნობიეროთ, რომ დრო ყოველთვის მწიფე გაკვეთილია, რათა მართებულად ვიმოქმედოთ.**
- **მხოლოდ თავისუფალ მამაკაცებს შეუძლიათ მოლაპარაკება.**
- **ჩვენს ქვეყანაში ჯერ მივდივართ ციხეში, სოლო შემდეგ ვხდებით პრეზიდენტი.**
- **თუ ამერიკის შეერთებულ შტატებს ან ბრიტანეთს აქვთ არჩევნები, ისინი არ ითხოვენ დამკვირვებლებს აფრიკიდან ან აზიიდან. მაგრამ, როდესაც ჩვენ გვაქვს არჩევნები, მათ სურთ დაკვირვება.**
- **ვოცნებობ ისეთ აფრიკაზე, რომელიც მშვიდობაშია საკუთარ თავთან.**
- **ვოცნებობ აფრიკის ერთობის რეალიზაციაზე, სადაც მისი ლიდერები ერთმანეთს უკავშირდებიან იმ ძალისხმევებით, რათა ამ კონტინენტზე გადაჭრან ესა თუ ის პრობლემა. ვოცნებობ ჩვენს ვრცელ უდაბნოებზე, ტყეებზე, ყველა ჩვენს დიდ, უკაცრიელ ადგილზე.**
- **არ არსებობს ასეთი რამ, როგორც ნაწილი თავისუფლებისა.**
- **სამხრეთ აფრიკაში არსებობს უამრავი ისეთი ადამიანი, რომლებიც არიან მდიდარნი და რომლებსაც შეუძლიათ გაუზიარონ სიმდიდრე იმ არც ისე ბედნიერ ხალხს, ვინც ჯერაც ვერ დააღწია თავი სიღარიბეს.**
- **თუ ნებისმიერი ადამიანი, ან საზოგადოება ჩემს გაძარცვას შეეცდება, ჩემი უწყინარობა მაშინ გაქრება.**
- **მიეცი ბავშვს სიყვარული, სიცილი, მშვიდობა და არა შიდსი.**
- **თუ არსებობს ქვეყანა, რომელმაც მსოფლიოში ჩაიდინა სიტყვით აღუწერელი დანაშაულები, ეს არის ამერიკის შეერთებული შტატები.**
- **უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავს განვიხილავდი ისე, როგორც აფრიკის პატრიოტს.**

მოამზადა
ლილუ მიროტაძემ

◎ ვითომ?!

რევაზ არველაძე: რაც „ტორპედო“-„დინამოს“ მატჩზე მოხდა, წინასწარ დაგეგმილი იყო

ძუთაისში რაც მოხდა „ტორპედო“ — „დინამოს“ მატჩზე, ეს იყო წინასწარ დაგეგმილი ამბავი, — განაცხადა გუშინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა რევაზ არველაძემ.

მისი თქმით, ქუთაისელი გულშემატკივრები ამბობენ, რომ ეს იყო რაღაცის პასუხი.

„ყველაზე მნიშვნელოვანი და

ცხელი ამბავი არის ქუთაისის თამაშთან დაკავშირებით. ყველა ქვეყანაში არის დიდი თამაშები, რომლებსაც მოიხსენიებენ კლასიკურ დაპირისპირებად და საქართველოში ეს არის „დინამო“ — „ტორპედოს“ დაპირისპირება. ერთი მხრივ, კარგია, რომ ასეთი თამაშები არსებობს, მეორე მხრივ კი, ასეთი თამაშები მაღალი რისკის მატარებელია. ყველგან, სადაც იმართება ასეთი მატჩები, მასპინძელი ქალაქი არის ვალდებული, რომ დაიცვას ის მინიმალური უსაფრთხოების წესები, რომლებიც არის დადგენილი. მოხდა ისეთი ამბავი, რაც დაგეგმილი იყო წინასწარ, ყოველ შემთხვევაში, როგორც ქუთაისელი გულშემატკივრები ამბობენ, ეს იყო რაღაცის პასუხი“, — განაცხადა რევაზ არველაძემ.

მისივე თქმით, ამ ინციდენტში ფედერაციის ბრალეულობა არ იკვეთება.

„ფედერაციის მიმართ ბრალდებებზე აღარ შევჩერდები, რადგან სისულელეებზე თავის მართლება არ ღირს. ამ თამაშს მაღალი რისკის შეფასება ჰქონდა, ფეხბურთის ფედერაციამ ყველა წესი დაიცვა, გააგზავნა უსაფრთხოების ოფიცერი, თამაშის დირექტორი, მსაჯები, დამკვირვებლები. ასე რომ, ფედერაციის ბრალეულობაზე რაიმე საუბარი უსაფუძვლოა“, — განაცხადა არველაძემ.

მისივე თქმით, ერთ-ერთი გამოსავალი ასეთი ფაქტების აღსაკვეთად, არის ის, რომ „დინამო“ — „ტორპედოს“ თამაშის დროს სტუმარმა გუნდმა არ წაიყვანოს თავის გულშემატკივრები.

„ამის მაგალითები არის ევროპაში, უფრო მეტად განვითარებულ ქვეყნებში, კერძოდ, როდესაც „ფეიენოორდი“ თამაშობს სტუმრად „აიაქსთან“, მას გულშემატკივრები არ მიჰყვებიან და პირიქით. საქართველოშიც, შესაძლოა, ერთ-ერთი გამოსავალი ის იყოს, რომ „დინამო“ — „ტორპედოს“ თამაშზე ასეთი რამე რომ აღარ მოხდეს, გამოსავალი ასეთი რამ იყოს“, — განაცხადა არველაძემ.

კითხვას — ვრცელდება ინფორმაციები, „დინამო“ — „სიონის“ და „გურია“ — “ჩიხურას“ მატჩები გარიგებული იყოო, არველაძემ უპასუხა, რომ იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება ეჭვის ნახევარიც კი, ეს გუნდები მაქსიმალურად მკაცრად დაისჯებიან.

„ეჭვები ამის შესახებ აქამდეც მსმენია, თუმცა, საჭიროა მტკიცებულებები. იმ შემთხვევაში, თუ ეჭვის ნახევარიც კი დადასტურდება, მაშინ სერიოზული პრობლემები შეექმნება იმ გუნდებს, რომლებიც გარიგებულ მატჩებში იქნებიან მხილებულნი. ამასთან, ეს აჟიოტაჟი კარგია, რომ შემდეგში აღიკვეთოს მსგავსი რამ“, — აღნიშნა არველაძემ.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის 21-ე ტურის შეხვედრა ქუთაისის „ტორპედოსა“ და თბილისის „დინამოს“ შორის ჩაიშალა. მატჩის მეორე ტაიმის დასაწყისში, როდესაც სტუმრები ქუთაისის „ტორპედოს“ 2:0 ამარცხებდნენ, ინციდენტი მოხდა.

ქუთაისის „ტორპედოს“ გულშემატკივრებმა მოედანზე ჯერ ქვების სროლა დაიწყეს, შემდეგ კი სტადიონზე ჩავიდნენ და „დინამოს“ ფეხბურთელებს ფიზიკურად გაუსწორდნენ.

თამაში ჩაშლილად გამოცხადდა.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ფიგურული ციგურაობა

გულბიანს – „ოქრო“, გოგიტიძეს – „ბრინჯაო“

ანა-დეა გულბიანი ხუთი წელიწადია ლელა ჩოფიკაშვილის ხელმძღვანელობით ფიგურულ ციგურაობაში ვარჯიშობს. უკვე რამდენიმე საერთაშორისო ტურნირში მიიღო მონაწილეობა. შარშან 7 ოქროს, 3 ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალიც მოიპოვა.

წლეულს იანვარში თანატოლთა შორის ტალინის საერთაშორისო ტურნირიც მოიგო, ორიოდე დღის წინათ კი ბუდაპეშტში ახალგაზრდების საერთაშორისო შეჯიბრებაზე აჯობა ყველას — თავისუფალი პროგრამით 33,94 ქულა დაიმსახურა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზეც ავიდა. მეორე-მესამე ადგილები ვალერია რისევამ (რუსეთი, 31,10) და ზოი ებლიმ (უნგრეთი, 29,08) დაიკავეს. ბიჭებში 17,21 ქულით ბრინჯაოს ჯილდო ილია გოგიტიძეს ერგო. 18,88 ქულით „ოქრო“ სლოვაკ ლუკას ვაკლავიკს, ხოლო უნგრელ დომინიკ ჰორტობოგის მეორე ადგილი (17,82) ხვდა.

ქართველთაგან ნატალია ლომინეიშვილი (19,01) მე-5 ადგილზე გავიდა, ინგა ფუტკარაძე (18,37) კი 25-ე ადგილით დაკმაყოფილდა. ოთხივე სპორტსმენი აჭარის ფიგურული ციგურაობის ფედერაციის წევრია. გოგიტიძეს, ლომინეიშვილსა და ფუტკარაძეს ინგა ბუტიკაშვილი ავარჯიშებს.

დღეს ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში იუნიორთა მსოფლიოს პირველობაზე თბილისელი არმენ აღაიანი მოსინჯავს ძალებს.

ლაშა დიდია

სურათზე: ანა-დეა გულბიანი.

◎ ძიუდო

მსოფლიოში საუკეთესონი – თბილისში

წლეულს 21-23 მარტს თბილისის სპორტის სასახლე ძიუდოისტთა გრან პრის (საპრიზო ფონდი 100.000 დოლარი) უმასპინძლებს. შეჯიბრებაში მსოფლიოს საუკეთესო ფალავნები მოიყრიან თავს. ჩვენი ქვეყნის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ირაკლი უზნაძემ სრულად გამოიყენა მასპინძლებისთვის გამოყოფილი კვოტა და 28 კიმონოიანს მისცემს თავის გამოჩენის საშუალებას. შემადგენლობაც უკვე დაასახელა. 100 კილოგრამ წონით კატეგორიაში გიორგი ნოზაძესა და რევაზ ჩიკოიძეს შორის არჩევანს ამ დღეებში გააკეთებს. ქომაგებისთვის საინტერესო იქნება 73 კილოში ჩვენებურთა კონკურენციაც: აქ მედლებისთვის ოლიმპიური ჩემპიონი ლაშა შავდათუაშვილი, ნუგზარ ტატალაშვილი, ზებედა

რეხვიაშვილი და ფრიდონ გიგანი იბრძოლებენ.

თბილისის გრან პრის პირველ დღეს — 21 მარტს მედლები 60 და 66 კილოში გათამაშდება. 22 მარტს — 73 და 81 კილოში, ხოლო 23 მარტს — 90, 100 და +100 კილოგრამ წონით კატეგორიებში.

საქართველოს ნაკრები თბილისის გრან პრიზე ასეთი შემადგენლობით იასპარეზებს:

60 კგ. ამირან პაპინაშვილი, ლუხუმ ჩხვიმიანი, გიორგი ბროლაშვილი, პაატა მერებაშვილი.

66 კგ. შალვა ქარდავა, ტრისტან ფეიქრიშვილი, გიორგი ქალდანი, გელა კელიხაშვილი.

73 კგ. ნუგზარ ტატალაშვილი, ზებედა რეხვიაშვილი, ლაშა შავდათუაშვილი, ფრიდონ გიგანი.

81 კგ. ავთანდილ ჭრიკიშვილი, უშანგი მარგიანი, გიორგი პაპუნაშვილი, ლაშა ზურაბიანი.

90 კგ. ვარლამ ლიპარტელიანი, ზვიად გოგოჭური, პაატა ღვინიაშვილი, ბექა ღვინიაშვილი.

100 კგ. გურამ თუშიშვილი, ალექსანდრე მსხალაძე, ნოდარ მეტრეველი, გიორგი ნოზაძე ან რევაზ ჩიკოიძე.

+100 კგ. ადამ ოქრუაშვილი, ლევან მატიაშვილი, როსტომ ხახალეიშვილი, ონისე ბუღაძე.

ლექსო ცინცაძე

◎ მოვლენის წინ

სარაგბო სამყაროს უმთავრესი ჯილდო თბილისში ჩამოიტანეს

თბილისში სარაგბო სამყაროს უმთავრესი ჯილდო „ვებ ელისის“ თასი ჩამოიტანეს. რაგბის მსოფლიო თასის ფინალში გამარჯვებულს სწორედ „ვებ ელისის“ თასს გადასცემენ. საქართველოს რაგბის კავშირის ინფორმაციით, რაგბის მოყვარულებს თასის მონახულების საშუალება დღეს და ხვალ ექნებათ.

გუშინ „ვებ ელისის“ თასი ჯერ კიკეთის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სარაგბო სკოლაში მიიტანეს, ხოლო შემდეგ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სპორტის მუზეუმში განათავსეს.

დღეს „ვებ ელისის“ თასის ნახვა „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე“ დილის 10 საათიდან იქნება შესაძლებელი.

როგორც რაგბის კავშირში აცხადებენ, თასის ჩამოტანა საქართველო-რუმინეთის მატჩის მნიშვნელობიდან გამომდინარე მოხდა.

მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე საქართველო რუმინეთს 15 მარტს 17 საათზე მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე შეხვდება.

ბეჟან დოლიძე

◎ ინტერნეტიდან

აზარენკას პოსტსპორტული სურვილები

ცნობილი ბელარუსი ჩოგბურთელი ვიქტორია აზარენკა აცხადებს, რომ საკუთარი გარეგნობა და სხეულის ფორმები დიდად არ მოსწონს და როდესაც სპორტულ კარიერას დაასრულებს, აუცილებლად მიხედავს თავის თავს და ისე გალამაზდება, რომ ყველას დაუყენებს თვალს.

ვიქტორიას თქმით, სპორტს მრავალი საუკეთესო თვისება აქვს და ცნობადობის გარდა, დიდი ფინანსური შემოსავალიც მოუტანა, მაგრამ როდესაც ქალი ჩოგბურთს სერიოზულად მიჰყვება, უნდა თუ არ უნდა, სექსუალურობას კარგავს და ათლეტად ყალიბდება.

ბელარუს მეჩოგნეს თურმე გადაწყვეტილი აქვს, რომ სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ სხეულის სხვადასხვა ადგილების კორექცია გაიკეთოს და სათანადო ფორმაში მოიყვანოს საკუთარი მკერდი, რომელიც, ერთი შეხედვით, ექიმის „ხელის შევლებას“ ნამდვილად საჭიროებს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფეხბურთი

ასეც ვიცოდით

ჩემპიონთა ლიგის პირველმა მერვედფინალურმა რაუნდმა სტუმართა უმეტესობას პლეი-ოფის მორიგ ეტაპზე თამაშის უფლება დაუბევა. საფიქრებელი იყო, რომ ფავორიტები საპასუხო შეხვედრების შემდეგ ოფიციალურად გაინაღდებდნენ მეოთხედფინალის საგზურებს. ასეც მოხდა — „ბაიერნმა“ და „ატლეტიკომ“ პერსპექტივა რეალობად აქციეს.

„ბაიერნი“ — „არსენალი“ 1:1
(პირველი მატჩი 2:0)

გემახსოვრებათ, ალბათ, რომ ამ წყვილის შარშანდელ დუელში მოვლენები თითქმის ანალოგიური სცენარით განვითარდა — მას შემდეგ, რაც „რეკორდმაისტერმა“ მეტოქე ინგლისში დააჩოქა, შინ თავს ნახევარი ძალით ბურთაობის ფუფუნება მისცა და კინაღამ დაისაჯა.

სხვათა შორის, ხოსეპ გვარდიოლას გუნდს გამარჯვება ამჯერადაც შეეძლო, მაგრამ ბოლო წუთზე მიულერის მიერ დარტყმული პენალტის შემდეგ ბურთი ფაბიანსკიმ მოიგერია.

დავსძენთ, რომ ბავარიელები რამდენადაც რიხიანად გამოიყურებიან ბუნდესლიგაში, იმდენად არასტაბილურად ასპარეზობენ ჩემპიონთა ლიგაში (შეგახსენებთ, რომ ისინი ჯგუფურ ტურნირში შინ „სიტისთან“ დამარცხდნენ).

„ატლეტიკო“ — „მილანი“ 4:1
(პირველი მატჩი 1:0)

ეტყობა, იტალიურ გრანდში საფუძვლიანი რეფორმების განხორციელების დრო მოვიდა. მართლაც, ძნელი გასახსენებელია, უკანასკნელად ისე როდის ჩაგდო სეზონი „როსონერიმ“, როგორც წლეულს.

რაც შეეხება კასტილიურ კლუბს, პირიქით, გაჭიანურებული კრიზისის შემდეგ დიეგო სიმეონეს შეგირდები თანდათან ისევ უშინაურდებიან ევროპულ ელიტას და არაა გამორიცხული, სხვა ბობოლებიც გაამწარონ.

გიორგი ზოთაძე

გიორგი ვაშაძემ ნიკა მელიას სასარგებლოდ კანდიდატურა მოხსნა

„ნაციონალური მოძრაობის“ თბილისის მერობის კანდიდატი ნიკა მელია იქნება. პარტიის მეორე კანდიდატმა გიორგი ვაშაძემ ნიკა მელიას სასარგებლოდ საკუთარი კანდიდატურა მოხსნა. პარტიაში აცხადებენ, რომ პრაიმერი აღარ გაიმართება.

გიორგი ვაშაძის განმარტებით, კანდიდატურის მოხსნის გადაწყვეტილება პოლიტიკურ გუნდთან ერთად მიიღო.

— შიდა კონკურენციამ მოიტანა ის, რომ ახალი ადამიანები, ახალი ლიდერები გამოიკვეთნენ და მათ შორის გამოიკვეთა ნიკა მელია — ჩემი მეგობარი, რომელთან ერთადაც რამდენიმე წელია, მოვდივარ. ეს მართლაც ძალიან პოზიტიურია. ამიტომ მივიღე გადაწყვეტილება ჩვენს გუნდთან ერთად, რომ მოვხსნა კანდიდატურა მის სასარგებლოდ და მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანი — ჩვენ დავიწყოთ ახალი ფაზა ცვლილებების, — განაცხადა ვაშაძემ.

ობოლ ბავშვთა დახმარების ახალგაზრდული ფონდის 2013 წლის ანგარიში

საქველმოქმედო ფონდი ობოლ ბავშვთა დახმარების ახალგაზრდული ფონდი დაფუძნდა 1996 წლის 11 ივნისს იუსტიციის სამინისტროს მიერ, ხოლო საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე, ხელახალი რეგისტრაცია გაიარა 1998 წლის 3 ივლისს იუსტიციის სამინისტროში.

ფონდმა განვლილი პერიოდის განმავლობაში მრავალი შესანიშნავი ღონისძიება განახორციელა — 2013 წელს ფონდმა აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე მოინახულა, ფონდში გაწევრიანებული ოჯახების საფლავები, პატივი მიაგო მათ გმირულ ხსოვნას და პანაშვიდი გადაუხადა, ასევე პატივი მიაგეს ფონდის წევრებმა ნინო პაპიაშვილის უკვდავ ხსოვნას, რომელიც იყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის გარდაცვლილი მებრძოლის შვილი. ფონდმა ზაფხულის ცხელ დღეებში მოაწყო ლაშქრობა ბაკურიანში ობოლი, სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის. 22 დეკემბერს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტებმა, კერძოდ, მარიამ ონიანმა და სხვებმა ფონდის დახმარებით, მოაწყვეს ნინოს საქველმოქმედო საღამო, სადაც წაიკითხეს მისი ლექსები და იმღერეს ნინოს ნამღერი სიმღერები.

ობოლ ბავშვთა დახმარების ახალგაზრდული ფონდის დირექტორი ლია პაპიაშვილი

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

◎ ალიან-ჩალიანი

საინკასაციო მანქანაზე თავდასხმას გეგმავდნენ

სამართალდამცველებმა 1972 წელს დაბადებული კობა ზ. და 1968 წელს დაბადებული გივი ნ. ყაჩაღობის მომზადების და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით გურჯაანში დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულები ქალაქ გურჯაანში მდებარე ერთ-ერთი ბანკის საინკასაციო მანქანაზე ყაჩაღურ თავდასხმას გეგმავდნენ. მათ წინასწარ ჰქონდათ შესწავლილი ჯავშანმანქანის მოძრაობის განრიგი და მარშრუტი.

სამართალდამცველებმა გივი ნ-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ნივთმტკიცებად ამოიღეს ერთჯერადი ხელთათმანები, ნიღბები და კუსტარულად გადაჭრილი გლუვლულიანი სანადირო თოფი, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას განეკუთვნება და სასროლად ვარგისია.

გამოძიება მიმდინარეობს ყაჩაღობის ჯგუფურად მომზადების ფაქტზე, დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით და წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის დამზადების ფაქტზე. გამოძიებას აწარმოებს შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მეორე მთავარი სამმართველოს მეორე სამმართველო.

საგამოძიებო სამსახურმა რამდენიმე პირი დააკავა

სახელმწიფო თანხების მითვისების და ყალბი საგადასახადო დოკუმენტების დამზადება-გამოყენების, ასევე სამსახურებრივი გულგრილობის ჩადენის ფაქტზე რამდენიმე პირი დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან აცნობეს, უწყების თანამშრომლებმა, სახელმწიფო თანხების მითვისების და ყალბი საგადასახადო დოკუმენტების დამზადება-გამოყენების ფაქტზე, სამშენებლო კომპანია „ოდას“ დირექტორი ნოდარ ჯიშკარიანი დააკავეს, ხოლო სამსახურებრივი გულგრილობის ჩადენის ბრალდებით, გორის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის სამსახურის, ინფრასტრუქტურის და ტერიტორიის კეთილმოწყობის განყოფილების უფროსი ალექსანდრე ხაჩიური და ამავე განყოფილების უფროსი სპეციალისტები გიორგი იორამაშვილი და გიორგი შერმადინი იქნენ დაკავებული.

გამოძიებით დადგენილია, რომ 2012 წელს, გორის მუნიციპალიტეტსა და შპს „ოდას“ შორის, გორის რაიონში სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით, ხელშეკრულება გაფორმდა.

აღნიშნული სამუშაოების მიმდინარეობისას შპს „ოდას“ დირექტორმა ნოდარ ჯიშკარიანმა საგადასახადო დოკუმენტების გაყალბებისა და გამოყენების გზით, სახელმწიფოს კუთვნილი დიდი ოდენობით ფულადი თანხები მიითვისა. ასევე დადგენილია, რომ გორის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის და ტერიტორიის კეთილმოწყობის განყოფილების უფროსმა ალექსანდრე ხაჩიურმა და ამავე განყოფილების უფროსმა სპეციალისტებმა გიორგი იორამაშვილმა და გიორგი შერმადინმა არაჯეროვნად შეასრულეს მათზე დაკისრებული მოვალეობები, არ შეამოწმეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება, რითაც ხელი შეუწყვეს ნოდარ ჯიშკარიანის დანაშაულებრივ ქმედებას.

მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე, 210-ე და 342-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.

გამოაშკარავეს ნარკოდამნაშავე

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის პირველი მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, 1963 წელს დაბადებული ვარუჟან ს. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

სამინისტროს ცნობით, სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 16 აბი „სუბუტექსი“ ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 0,1277 გრ ბუპრენორფინს შეიცავს.

ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს.

ინტერპრესი

◎ ჩვენი კარაბადინი

უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ პაციენტთა რიცხვი, ვისაც ქრონიკული პანკრეატიტი აწუხებს. რატომ მოხდა ასე? და როგორ დავიცვათ თავი ან, უკიდურეს შემთხვევაში, არ დავუშვათ მისი გართულების განვითარება?

ჩვენი ექსპერტია გასტროენტეროლოგი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი სერგი ვალიშვილი.

უგულებელყოფა საჭმელშია

პანკრეატიტით დაავადების ზრდა სპეციალისტებმა გაოცებას არ იწვევს. უკანასკნელი ათეულობით წლების განმავლობაში ძლიერ შეიცვალა ჩვენი კვება, კუჭქვეშა ჯირკვლის მდგომარეობა კი დიდადაა დამოკიდებული საკვების ხარისხზე. პროდუქტებში კონსერვანტების, დამატკბობლების, არომატიზატორების, გარემოს გამაძლიერებლების სიუხვე სერიოზულად ართულებს მის მუშაობას. ამას დაუმატეთ ფასტფუდის, არომატიზებული გაზიანი სასმელების, უბრალოდ ცხიმიანი საკვების მოხმარება...

კუჭქვეშა ჯირკვალზე უკიდურესად ნეგატიურად მოქმედებს ალკოჰოლის მიღება, ეს კი ჩვენთან, ისევე როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, მეტად„მაღალ დონეზეა“. იგივე შეიძლება ითქვას მოწევაზეც. იგი ცვლის პანკრეატიულ წვენს, ეს კი ხელს უწყობს ანთებას.

არის პანკრეატიტის სხვა მიზეზებიც, მაგალითად, მემკვიდრეობითი ფაქტორები, ტრავმები, იმუნური დარღვევები. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ნაღვლის ბუშტისა და ნაღვლის გამომყვანი გზების დაავადებებს. უკანასკნელ ხანებში ისინი სულ უფრო ხშირად გვხვდება, ახალგაზრდულ ასაკშიც კი, და პრაქტიკულად აუცილებლად „ექაჩებიან“ თავისკენ კუჭქვეშა ჯირკვალთან დაკავშირებულ პრობლემებს.

მოვითმენ, გაივლის?

გასტროენტეროლოგები შეშფოთებული არიან არა მხოლოდ იმით, რომ ქრონიკული პანკრეატიტის გავრცელება იზრდება, არამედ იმითაც, რომ ყველა ავადმყოფი დროულად როდი მიმართავს სპეციალისტს.

მწვავე პანკრეატიტს, რომლის დროსაც ანთება კუჭქვეშა ჯირკვალში „სწრაფია“, ჩვეულებრივად ძლიერი ტკივილი და ძალიან ცუდი განწყობილება ახასიათებს. ამიტომ ადამიანი, ვინც მას გადაეყრება, უმალვე იძახებს „სასწრაფოს“. და სწორადაც იქცევა, ეს მდგომარეობა ხომ პანკრეანევროზით — კუჭქვეშა ჯირკვლის უჯრედების მნიშვნელოვანი ნაწილის — დაღუპვით გვემუქრება, ეს კი ზოგჯერ სიცოცხლისთვის საზიფათოა.

პანკრეატიტის მიუმვება არ შეიძლება

როგორ ავიცილოთ თავიდან კუჭქვეშა ჯირკვალთან დაკავშირებული პრობლემები

ქრონიკული პანკრეატიტის დროს ანთება „ნელია“, ვითარდება ნელ-ნელა, დაავადების გამოვლინება კი ნაკლებად გამოხატულია. ტკივილები მუცელში არაა ძლიერი, ჩნდება მას შემდეგ, რაც ადამიანი შეჭამს ცხარე ან ცხიმიან რამეს. შეიძლება შეინიშნებოდეს საკვების გადამუშავების დარღვევებიც, წონის დაკლება. მაგრამ ისინი ტიპურია გვიანდელი სტადიებისთვის, კუჭქვეშა ჯირკვლის უკვე მნიშვნელოვანი დაზიანების დროს (70-80 პროცენტამდე). დაახლოებით ყოველ მეხუთე ავადმყოფს კი ტკივილები არ უჩნდება საერთოდ, არის მხოლოდ მუცელში დისკომფორტის შეგრძნება. და აი, ცდილობს ადამიანი „მოითმინოს“ იმის იმედით, რომ ყველაფერი გაუვლის.

სამწუხაროდ, ამას მხოლოდ დაავადების პროგრესირებასთან და გართულებებთან მივყავართ. ესენი კი ძალიან სერიოზულია. ესენია ინფექციური პროცესებიც თვით პერიტონიტამდე, ნაღვლის გამოყოფის დაბლოკვაც, კუჭქვეშა ჯირკვლის კიბოც — ერთ-ერთი ყველაზე აგრესიული და ძნელად სამკურნალო ონკოლოგიური დაავადება. ამიტომ წესად უნდა გავიხადოთ: თუ დისკომფორტია, მით უმეტეს ტკივილები მუცელში არ წყდება 1-2-დღე-ღამის განმავლობაში, აუცილებლად უნდა მივმართოთ ექიმს, ხოლო, თუ ტკივილის გარდა, გაჩნდა გულისრევა და პირღებინება, გაიზარდა ტემპერატურა, დაიწყო დიარეა ან შეიცვალა განავლის ფერი, სპეციალისტს უნდა მივმართოთ დაუყოვნებლივ!

განკურნება რეალურია

ძრონიკული პანკრეატიტის მკურნალობისთვის იყენებენ პრეპარატებს მოქმედების სხვადასხვა მექანიზმებით. უწინარეს ყოვლისა, ტკივილგამაყუჩებლებს. ისინი არა მხოლოდ უბრალოდ გვიხსნიან ტკივილის შეგრძნებას, არამედ იძლევიან სამკურნალო და აღდგენით ეფექტს. ასევე იყენებენ ანთების საწინააღმდეგო პრეპარატებს, რომლებიც კუჭქვეშა ჯირკვლის სადინარებზე მოქმედებენ, ზოგჯერ კი ანტიბიოტიკებს. საკვების გადასამუშავებელ ფერმენტებს იყენებენ კუჭქვეშა ჯირკვლის ფუნქციების ჩასანაცვლებლად ანთებით პერიოდებში. თერაპიის წარმატება თავად პაციენტზეა დამოკიდებული. მან წესიერად უნდა შეასრულოს რეკომენდაციები და შეცვალოს ცხოვრების წესი, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ განიკურნება.

წესები საკმაოდ მარტივია:

- **არ არის საჭირო გადაძღომა, მიიღეთ საკვები მცირე ულუფებით;**
- **ნუ მიიღებთ ალკოჰოლს;**
- **დაანებეთ თავი მოწევას;**
- **შეზღუდეთ ცხიმიანი, ცხარე და ტკბილი საკვების მიღება;**
- **ნუ მიიღებთ შემწვარ, შებოლილ, მარინადში ჩადებულ საკვებს;**
- **მიიღეთ ექიმის მიერ დანიშნული წამლები;**
- **ტკივილების გაჩენის ან მდგომარეობის გაუარესების დროს გადაუდებლად მიმართეთ ექიმს.**

ტესტი

რამდენადაა თქვენი შეხვედრა ღვთის ნება?..

ამის გარკვევაში ტესტი დაგეხმარებათ. სასურველია, რომ ქალმა და მამაკაცმა შეკითხვებს უპასუხონ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. ყოველ „ა“ პასუხზე დაიწერეთ 5 ქულა, პასუხზე „ბ“ — 0 ქულა.

1.თქვენი აზრით, ცოლ-ქმარი ერთად უნდა ისვენებდნენ?
ა) დიახ, ბ) არა.

2. ცოლ-ქმრობის მიზანი ბავშვები და მათი აღზრდაა“?
ა) დიახ, ბ) არა.

3. ბავშვები რაც შეიძლება ადრე უნდა მიაჩვიოთ დამოუკიდებლობას?
ა) დიახ, ბ) არა.

4. სწორია, რომ ერთმანეთისთვის ყველაფრის მოყოლა არაა სავალდებულო?
ა) დიახ, ბ) არა.

5. ბავშვებმა ყოველთვის უნდა უსმინონ მშობლებს?
ა) დიახ, ბ) არა.

6. თქვენი მშობლების ოჯახში სუფევდა მყუდროება და თანხმობა?
ა) დიახ, ბ) არა.

7. იზიარებთ აზრს, რომ ქორწინების შემდეგ მეუღლეებს აღარ უნდა ჰქონდეთ ურთიერთობა საპირისპირო სქესის ძველ ნაცნობებთან?
ა) დიახ, ბ) არა.

8. გიყვართ დისკოთეკები, სალამოს შეხვედრები, შეხვედრები მეგობრებთან?
ა) დიახ, ბ) არა.

9. მშობლები რაც შეიძლება ნაკლებად უნდა ერეოდნენ გაზრდილი შვილების საქმეებში?
ა) დიახ, ბ) არა.

10. თქვენი პარტნიორის მიერ ყველაფრის უმალ გაგება თქვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია?
ა) დიახ, ბ) არა.

11. თქვენი აზრით, ბავშვებმა სულ პატარაობიდანვე უნდა იცოდნენ, თუ რა ძნელია ფულის შოვნა“?
ა) დიახ, ბ) არა.

12. ცოლსა და ქმარს შეუძლიათ ჰყავდეთ „ცალკეული“ ნაცნობები?
ა) დიახ, ბ) არა.

13. მშობლები ბავშვებისთვის უნდა იყვნენ იდეალები, ნიმუშები?
ა) დიახ, ბ) არა.

14. მთავარი ქორწინებაში მატერიალური კეთილდღეობაა?
ა) დიახ, ბ) არა.

15. კარგი ურთიერთობა გაქვთ დედასთან (შეკითხვა მამაკაცისთვის); მამასთან (შეკითხვა ქალიშვილისთვის)?
ა) დიახ, ბ) არა.

16. ბავშვები მკაცრად უნდა აღიზარდონ?
ა) დიახ, ბ) არა.

შეაჯამეთ ქულები და გაეცანით დასკვნებს

თუ სხვაობამ თქვენსა და თქვენს პარტნიორს შორის 25 და ნაკლები ქულა შეადგინა. თქვენი კავშირი, როგორც ჩანს, წარმატებული იქნება. ყოველ შემთხვევაში, ამისთვის ყველა წინაპირობა არის. იმედი გვაქვს, შეძლებთ აღმოაჩინოთ ერთმანეთში ახალი თვისებები, დღითი დღე სულ უფრო და უფრო დაუახლოვდეთ ერთმანეთს.

სხვაობა 30-55 ქულაა. თქვენ აზრთა ზოგიერთი სხვადასხვაობის გამო შეიძლება გაგიჩნდეთ პრობლემები. მაგრამ, როგორც ცნობილია, სერიოზული ურთიერთობანი შეუძლებელია კომპრომისების გარეშე. თუ ისწავლით დათმობას, მშვიდად მოისმენთ სხვის აზრს, თქვენი ურთიერთობანი შეიძლება იყოს მშვიდობიანი და ბედნიერი. თუმცა დათმობები უნდა იყოს გონიერი.

სხვაობა 60 და მეტი ქულაა — ალბათ, თქვენ სხვადასხვაგვარი წარმოდგენა გაქვთ ცხოვრებასა და ოჯახზე. თქვენ ორივემ ბევრი რამ უნდა დაუთმოთ ერთმანეთს. სიყვარული — ეს სკამებზე მხოლოდ ამოხვნეშები და მთვარის შუქზე გასეირნებანი როდია. ეცადეთ, იყოთ ერთმანეთთან უფრო მომთმენები.

ჩვენი პრესდაიჯესტი

ვყურადღებიანი ვართ ყველაფერზე

„სოზარ სუბარმა სასჯელაღსრულების სისტემა არ იცის“

ცოტა ხნის წინათ ციხეში პატიმარი ფარტენაძე მოკლეს. გავრცელებული ინფორმაციით, მკვლელები მძიმე დანაშაულისთვის იხდიდნენ სასჯელს. ადვოკატი და პენიტენციარული სისტემის ექსპერტი ვლადიმერ ტაბაღუა, რომელიც რამდენიმე ათეული წელი მუშაობდა ამ სისტემაში და სასჯელაღსრულების დაწესებულებას ხელმძღვანელობდა, ამბობს, რომ სასჯელაღსრულების სისტემის მართვის, სასჯელაღსრულებისა და პატიმრების განვითარების სწორი ორგანიზება არ ხდება, ამიტომ ტრაგიკული ფაქტებიდან დაზღვეული არ ვართ. სოზარ სუბარმა სასჯელაღსრულების სისტემა არ იცის, არადა, სანამ ეს სისტემა ძირფესვიანად არ იქნება შესწავლილი და მოწესრიგებული, ყოველთვის მოხდება უბედურება, — ამბობს ვლადიმერ ტაბაღუა.

„ახალი თაობა“

როგორ „დაავერბოვკა“ „გე-რე-უ“-მ ვანო მერაბიშვილი და გია ბარამიძე

ერთი კვირის წინ „ქართულ სიტყვაში“ გამოქვეყნებულ თადარიგის პოლკოვნიკის, სამხედრო კონტრდაზვერვის ყოფილი თანამშრომლის, უსაფრთხოების ექსპერტის კონსტანტინე ფორჩხიძის სკანდალურ ინტერვიუს დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. ამჯერად ბატონი კონსტანტინე „ქართულ სიტყვას“ ვანო მერაბიშვილისა და გია ბარამიძის რუსული სპეცსამსახურებთან საეჭვო ურთიერთობის შესახებ ესაუბრება.

„ქართული სიტყვა“

გოგი თოფაძე უცხოური ლუდის იმპორტის აკრძალვას მოითხოვს

— ამ ცვლილებების გატარება აუცილებელია, — ამბობს გოგი თოფაძე, — რადგან ადგილობრივი მწარმოებელი და იმპორტიორი თანაბარ პირობებში არ არიან. მაგალითად, ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელის მწარმოებლებს მინის ტარა სჭირდება, მაგრამ იმისთვის, რომ ადგილობრივმა მეწარმემ ბოთლი ქსნის ქარხანაში შეიძინოს, დღგ-ს 18 პროცენტი უნდა გადაიხადოს, სამაგიეროდ, თუ მინის ტარას თურქეთში ან ბულგარეთში შეიძენს, ეს 18-პროცენტიანი გადასახადი, 9-10 თვის მანძილზე გაიწელება. ასეთი დაბეგვრის რეჟიმში არიან იმპორტიორები, რაც უდიდეს შეღავათს აძლევს და ამით ადგილობრივ მეწარმეს ჩაგრავს. ჩვენ მხოლოდ საწარმოო ნედლეულს ვგულისხმობთ, მაგალითად, მინის ტარას, ალაოს, რაც ლუდის წარმოებისთვის აუცილებელია. აქედან გამომდინარე, ჩვენი გადაწყვეტილება აბსოლუტურად სამართლიანია, რადგან თანაბარ პირობებში უნდა იყვნენ როგორც ადგილობრივი მეწარმეები, ასევე იმპორტიორები.

„ვერსია“

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

ცინცხალი ანეკდოტები

— **კარგი, ნუ იფოფრები, გამოიბერტყე ეს სულელური აზრები თავიდან!**
— **მერე ცარიელი თავით ვიცხოვრო?**

* * *

— **აი, თქვენ, გამყიდველებს, ყველაზე მეტად ანგარიშში ვისი მოტყუება გიჭირთ?**
— **სხვა გამყიდველებისა.**

* * *

— **მაშა, საიდან გაქვს ასე პატარას ამდენი ფული?**
— **უცხო ბიძიამ მომცა.**
— **რისთვის?**
— **იმისთვის, რომ მამიკოს არ ვუთხრა.**
— **რა! რა არ უთხრა?**
— **ის, რომ იგი შენს საძინებელში ვნახე, დედიკო!**

მაინც ვერ გამიგია, რისთვის იკლავენ თავს უმაღლესი განათლების მისაღებად. აი, ჩვენთან, ოფისში მხოლოდ ორს აქვს უმაღლესი განათლება — დამლაგებელსა და კურიერს.

* * *

— **დედი, დედი! — სულს ძლივს ითქვამს სირბილისგან გულამოვარდნილი წითელქუდა, — ბებიასთან რომ მივდიოდი ტყის გავლით, იქ ხის მჭრელები, ჩემი წითელი ქუდი რომ ნახეს, გადამეკიდნენ და სექსუალური ძალადობა დამიპირეს!**
— **აჰა, ხის მჭრელებიო, ამბობ, არა? — გოგონას წითელ ქუდს იზომებს დედა... კარგი შენ აქ იჯექი! დედიკო მალე დაბრუნდება!**

* * *

არყის მეშვიდე ბოთლმა პეტკა დაარწმუნა, რომ გოგო იმდენად ლამაზი იყო, რომ იგი მისი ღირსი არ გახლდათ.

კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერონსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა მაშაკიძე 514 33-33-24